ალია

# ხინკლის ჭამაც საშიში გახდა?

რა აღმოაჩინა კლიენტმა საფირმო ხინკალში?



N21 /2951/ 12 თებერვალი 2014 წ ფასი 70 თ

ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## გეგუთის კოლონიაში პატიმარს ფიზიკურად გაუსწორდნენ?

რით იმართლებს თავს სუბარი ექსპერტიზის შემდეგ?



## რა მიზნით ჩამოვიდა ნატოს სამხედრო კომიტეტი სინამდვილეში?



## „დადგა დრო ხალხის ძალის დემონსტრირებისა!!!“

რას მოუწოდებს ჯონდო ბაღათურია მოსახლეობას?



## რისთვის შეხვდა კახი კალაძე ლევან პირველს?





# რა საიდუმლო ბრძანებებს აძლევს უგულავა მერიასა და გამგებლებს?

## კულუარები

# „რუსთავი 2“-ში სიტუაცია იძაბება?

რა ხდება ტელეკომპანიის კულუარებში?

## ექსკლუზივი

# გარემოს დაცვის სამინისტრო: „ტყე შეუნახე შვილებსა“, ბიუჯეტი — ფლანგე!!!!

ავტომანქანებში – 2 224 320 ლარი;
ავტოტექმომსახურებასა და რეცხვაზე – 387 682 ლარი;
საწვავში – 1 064 970 ლარი;
კომპიუტერულ ტექნიკაში – 613 377 ლარი;
კონფერენციების მოწყობაში – 271 276 ლარი;
ავეჯში – 124 945 ლარი;
რესტორნებსა და ფურშეტებში – 58 364 ლარი.



## გიორგი მარგველაშვილი აზერბაიჯანს ეწვევა



საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი 12-13 თებერვალს ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკას ეწვევა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, ბაქოში გაიმართება შეხვედრა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან, რის შემდეგაც ორი ქვეყნის ლიდერები მედიისთვის ერთობლივ განცხადებას გააკეთებენ.

საქართველოს პრეზიდენტი ასევე შეხვდება აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ არტურ რასი-ზადეს და პარლამენტის თავმჯდომარე ოქტაი ასადოვს. 13 თებერვალს მარგველაშვილი კახს ეწვევა, სადაც დაგეგმილია შეხვედრა ეთნიკურად ქართველ მოსახლეობასთან.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან საპარლამენტო უმრავლესობის წევრები, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი და პრეზიდენტის საგარეო ურთიერთობათა მდივანი. (ინტერპრესნიუსი)

## 1-ლი მარტიდან „კავკასუს ონლაინი“ ინტერნეტმომსახურებას აძვირებს



კომპანიის ცნობით, მომსახურების გაძვირებასთან ერთად გაიზრდება ინტერნეტის სიჩქარეც.

„კავკასუს ონლაინის“ მინიმალური პაკეტის ღირებულება, რომლის სიჩქარეც 5 მბ-ით იწყებოდა და 20 ლარი ღირდა, პირველი მარტიდან სიჩქარე გაორმაგდება და 10 მბ ინტერნეტის ფასი ახალ პაკეტში 25 ლარი იქნება. რაც შეეხება დანარჩენი პაკეტების ფასებს, კომპანიის ინფორმაციით, 30 მბ 35 ლარი, 50 მბ – 45 ლარი, 100 მბ – 100 ლარი ეღირება.

ცალკე შეიქმნა სპეციალური ტარიფი რეგიონებისთვის 5 მბ – 20 ლარად, რომლითაც მომხმარებლები რუსთავსა და ფოთში, მოგვიანებით კი სხვა ქალაქებშიც ისარგებლებენ. თბილისში მომხმარებელი თვითონ აირჩევს, რომელი ახალი პაკეტით ისარგებლებს 1 მარტიდან, ხოლო თუ მითითებულ პერიოდამდე, მომხმარებელმა ეს არჩევანი არ გააკეთა, ავტომატურად ჩაერთვება ახალი პაკეტი გაზრდილი სიჩქარით.

პაკეტის ცვლილების შესახებ ინფორმაციას ყველა მომხმარებელი ინდივიდუალურად სმს შეტყობინების სახით მიიღებს. (ინტერპრესნიუსი)

## „ნატო-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობა სამაგალითოა“



ნატოს სამხედრო კომიტეტის ხელმძღვანელის, გენერალ კნუდ ბარტელსის თქმით, ნატო-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობა კონსტრუქციული, პრაგმატული და სამაგალითოა. გენერლის შეფასებით, საქართველოს ნატო-ს არაწევრ ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი წვლილი შეაქვს „აისაფის“ მისიაში, რისთვისაც მადლობას იმსახურებს.

„მინდა ხაზი გავუსვა მათ დამსახურებას, ვინც ამ ოპერაციების შესრულებისას დაეცა და ჩვენი ფიქრებით მათ ოჯახებთან ვართ. საქართველომ აიღო ვალდებულება, მხარი დაეჭირა ნატოს ხელმძღვანელობით ჩატარებულ მისიაში, რაც გულისხმობს ავღანეთის უსაფრთხოების ძალების მომზადებასა და კონსულტაციას და ასევე, აიღო ვალდებულება, მიიღოს მონაწილეობა ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალების მოქმედებაში 2015 წელს. საქართველოს სამხედრო ჩართულობის დინამიკა არის ნატო-ს წინაშე საქართველოს ვალდებულებების დემონსტრირება და ჩვენ ველით სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავებას 2014 წლის შემდეგ“, – განაცხადა გენერალმა.

მისი განმარტებით, ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე 2008 წელს იქნა მიღწეული შეთანხმება, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი, როდესაც საჭირო კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს. „საქართველომ სოლიდურ პროგრესს მიაღწია თავდაცვის რეფორმების განხორციელებაში, რაც საქართველოსა და ნატო-ს შორის სამხედრო თანამშრომლობის საუკეთესო საშუალებას გვაძლევს. ჩვენ განვაგრძობთ ამ რეფორმების მხარდაჭერას და ველოდებით ნაყოფიერ დისკუსიას საქართველოს პროგრესის საკითხებზე, რაც უკავშირდება მის ტრანსფორმაციასა და უსაფრთხოების სექტორის გაუმჯობესებას“, – აღნიშნა კნუდ ბარტელსმა. (ინტერპრესნიუსი)



# რა საიდუმლო ბრძანებებს აძლევს უგულავა მერიასა და გამგებლებს?

თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ქავთარაძე თბილისის მთავრობას ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღებაში ადანაშაულებს და „ალიასთან“ საუბარში სკანდალურ განცხადებას აკეთებს. მაშ ასე, არის თუ არა დე ფაქტო და დე იურე მერი გიგი უგულავა? რა საიდუმლო ბრძანებებს იძლევა ის და ბრძოლის რა მეთოდებით აპირებენ ხელისუფლებასთან დაპირისპირებას?

მიხეილ ქავთარაძის განცხადებით, 2013 წლის მაისში თბილისის ქონების მართვის სააგენტომ ჩაატარა აუქციონი, რომელიც ითვალისწინებდა თბილისში შეგროვებული არასორტირებული ნაგვის გასხვისებას, თუმცა ეს აუქციონი ჩაიშალა იმ მიზეზით, რომ გამარჯვებულმა პირმა თავისი ვალდებულებები არ შეასრულა. ხელმეორედ აუქციონი კი არ ჩატარებულა, 2014 წლის 7 თებერვალს თბილისის მთავრობის სხდომაზე დედაქალაქის მთავრობამ უფლებამოსილება მიანიჭა თბილისის მერის მოადგილეს ირაკლი აბესაძეს, ერთპიროვნულად, კონკურენციისა და აუქციონის გარეშე გააფორმოს ხელშეკრულება ერთ-ერთ კომპანიასთან.

**უფრო დეტალურად კი, აი, რას აცხადებს „ალიასთან“ მიხეილ ქავთარაძე:**

– ტენდერებს ატარებს ქონების მართვის სააგენტო და შესყიდვების სამსახური, აქ ძალიან ბევრი კითხვაა. გვაქვს ინფორმაცია, რომ ხელოვნურად აფერხებენ ტენდერებს, ამ საკითხებზე გამოძიებაა ჩასატარებელი. მაგალითად, 2012 წელს საბურთალოს გამგეობაში ჩატარდა ტენდერი, ვითომ ე.წ. გამარჯვებულმა კომპანიამ ვერ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა. მაშინ, როცა საერთოდ არ იყო ფორსმაჟორი, განაცხადეს, რომ იმყოფებიან ფორმასჟორში და ცნობილ კომპანიებს, რომელთა უკანაც „ნაციონალები“ დგანან, მილიონიანი ტენდერი მოაგებინეს. ასეთი იყო, მაგალითად, „ბლექსი გრუპი“, რომელსაც მილიონიანი საგზაო ტენდერი მისცეს. არსებობდა ასეთი შპს „პარმა“, რომელსაც მისცეს 900-ათასიანი ტენდერი, რომლის უკანაც გივი თარგამაძის ინტერესები იკვეთება. საბურთალოზე თარგამაძის გარეშე ჩიტი ვერ გადაფრინდებოდა. იგივე სიტუაციაა ნარჩენებთან დაკავშირებით, 2004 წლიდან მიდის ლაპარაკი, რომ უნდა აშენდეს ნაგვის გადამამუშავებელი ქარხანა, მაგრამ შეგნებულად ეს პროცესი შეაფერხეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ საქმეს აკეთებდა დასუფთავების სამსახური და „თბილსერვისჯგუფი“, რომლის უკანაც იდგა გიგი უგულავას ინტერესები, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რატომ ეწინააღმდეგებოდნენ ნაგვის გადამამუშავებელი ქარხნის აშენებას და უცხოელი ინვესტორის შემოსვლას, მაშინ მერია მათ საქმიანობაში ველარ ჩაერეოდა და მილიონებს დაკარგავდა.

2013 წელს რომ გამოაცხადეს აუქციონი ნარჩენების გაყიდვასთან დაკავშირებით, დაინტერესდა ორი კომპანია, ერთ-ერთია „გეოიმპექსი“, რომელსაც ჰქონდა კვალიფიკაცია და გამოცდილება, თუმცა ტენდერი მეორე კომპანიამ მოიგო, რომლის სახელსაც ჯერ ვაზუსტებ. ერთ თვეში მოგებულმა კომპანიამ განაცხადა, რომ ვერ ასრულებდა მოვალეობას და აუქციონი ჩაიშალა. „თბილსერვისმა“ ჩვეულებრივად გააგრძელა საქმიანობა. „გეოიმპექსმა“ მიმართა თბილისის მერიას წერილით, შეგვატყობინეთ, როდის ჩატარდება აუქციონი, რომ მონაწილეობა მივიღოთ და ცივილიზებული მეთოდებით მოვახდინოთ ნარჩენების გადამუშავებაო. „გეოიმპექსს“ დრო გაუჭიმეს, ერთი წელი ალოდინეს და „ნაციონალების“ მმართველობის დასასრულს, 7 თებერვალს, მთავრობას ყოველგვარი აუქციონების გარეშე ექსკლუზიურად მიანიჭა უფლება და დელეგირება მოახდინა მერის მოადგილე ირაკლი აბესაძეზე, რომ მოლაპარაკება აწარმოოს ერთ-ერთ ამერიკულ კომპანიასთან. ამ კომპანიამ უნდა განახორციელოს დედაქალაქში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და გადამუშავება. აბესაძე არის უგულავას მარჯვენა ხელი, ის პირდაპირ ვერ დაიწყებდა უცხოურ კომპანიასთან მოლაპარაკებას და ამიტომ მიანიჭა მას დედაქალაქის მთავრობამ ამის უფლება. არის ეჭვი რომ უგულავას ინტერესები დგას ამ კომპანიის უკან. ეს ყველაფერი კი გამოიწვია იმან, რომ მერია საკრებულოს საქმის კურსში აღარ აყენებს. ჯერ კიდევ თბილისის იმპერატორია გიგი უგულავა. ჩვენი თვალით ვნახეთ, „თბილსერვისს“ რამხელა მანიპულირების საშუალება ჰქონდა, გაფორმებული ჰყავდათ თავისი ახლობლები, მკვდარი სულები, წლების მანძილზე „თბილსერვისი“ იყო დახურული და არ შემოწმებულა, ჩვენ ვფიქრობთ, შევიყვანოთ სარევიზიო კომისია და ეს თემა კარგად შევისწავლოთ. აქ იყო გაბერილი შტატები, შესაბამისად, ბიუჯეტიდან ხდებოდა გაბერილი შტატების დაფინანსება, რატომ მისცემდნენ უფლებას „გეოიმპექსს“, აუქციონზე გაემარჯვა? რაც ამათ გააკეთეს, ეს იყო მოსწრებაზე გაკეთებული გადაწყვეტილება, ჩქარობენ, რომ მათთვის საინტერესო კომპანია შემოიყვანონ.

**— რა ფორმით ერევა გიგი უგულავა მერიის მართვაში?**

– ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ პარტიის ოფისში გამოყოფილი აქვს უგულავას ოთახი და ყოველ საღამოს იქ იკრიბებიან ირაკლი აბესაძე, სევდია უგრეხელიძე, დათო ალავიძე, 8 გამგებელი, რომელიც პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეები არიან. უგულავა მათ თათბირის უტარებს. პირდაპირ ავალებს, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი არჩევნებისთვის ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსები, რომ ის პროცენტები, რაც მათ უკვე დაგეგმილი აქვთ, არჩევნებზე აიღონ. ჩვენ შევამოწმეთ რამდენიმე გამგეობა, საქალაქო სამსახურები, სადაც იკვეთებოდა აშკარა კორუფციის ფაქტები, უშუალოდ გამგებლების ინტერესები ამა თუ იმ კომპანიებთან.

**— თქვენი ინფორმაციით, გიგი უგულავა კვლავ აპირებს მერის არჩევნებში მონაწილეობას?**

– რამდენადაც ხმები მოგვდის, მერობის სურვილი აქვს გიორგი ვაშაძეს, იმასაც ამბობენ, რომ დაპირისპირებაა უგულავას ფრთასა და „ნაცების“ ე.წ. ახალგაზრდულ ფრთას შორის სადაც ვაშაძეც შედის. ყოველ შემთხვევაში ფაქტი ისაა, რომ ადმინისტრაციული რესურსები არის „ნაცმოძრაობის“ ხელში და სამეურნეო თანამდებობებზე პოლიტიკურად დაინტერესებული ადამიანები სხედან. თბილისის გამგებლები დღეს პოლიტიკურად მოტივირებულები არიან, ყველა არის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე. ისინი პარტიული ნიშნებით გასცემენ თანხებს. არსებობს ასეთი ინსტიტუტი – ამხანაგობების თავმჯდომარეები და სტადიონის ე.წ. მეთვალყურეები, კოორდინატორები, რომლებიც წარმოადგენენ პარტიულ აქტივს და ამათ ხელფასებზე გადარიცხულია ასობით ათასი ლარი. სოციალურად შეჭირვებული ადამიანები დასახმარებლად როცა მიდიან, უარით ისტუმრებენ, თითს საკრებულოსკენ იშვერენ და ამბობენ, ბიუჯეტი არ დაგვიმტკიცეს და ვერ დაგეხმარებითო. არ დაგვაფინანსეს და ვერ დაგეხმარებითო. მაშინ, როცა არ არის პრობლემა, გამოყოფილია თანხები, რომ სოციალურად დაუცველი ადამიანები დააფინანსონ.

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რატომ გადაიქცა სასჯელაღსრულება კიდევ უფრო ჩაკეტილ სისტემად?



„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, გიორგი ახვლედიანმა გეგუთის კოლონიაში მიმდინარე პროცესებზე განცხადება გააკეთა.

მისი თქმით, სასჯელაღსრულების სისტემაში ბევრი რამ არის შესაცვლელი, იმისთვის, რომ ამ სამინისტრომ ნდობა დაიბრუნოს. მისივე თქმით, ძალიან მწირი ინფორმაციაა იმასთან დაკავშირებით, სინამდვილეში რა გახდა მიზეზი ასეთი დიდი რაოდენობით პატიმრების პროტესტის. მაგრამ ის, რაც ჩანს, ერთმნიშვნელოვნად მძიმე სურათია.

„სრულიად გაუგებარია, რატომ გადაიქცა სასჯელაღსრულების სისტემა ბოლო პერიოდში კიდევ უფრო ჩაკეტილ სისტემად, ვიდრე აქამდე ყოფილა, იმის ფონზე, როდესაც მინისტრი და მისი მოადგილეები საყოველთაო გამჭვირვალეობაზე საუბრობენ. არ მოხდებოდა არც გუშინდელი დღე და არც ამხელა პროტესტები იქნებოდა, ნათესავებს მაინც რომ მისცემოდათ საკუთარი პატიმრების მონახულების საშუალება, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ისინი ცოცხლები და უვნებლები არიან“, – განაცხადა ახვლედიანმა.

მისივე თქმით, სასჯელაღსრულების სამინისტროს უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია მშობლებისთვის, რა ვითარება და რა პრობლემებია გეგუთის კოლონიაში.

გიორგი ახვლედიანის განცხადებით, სწორედ ინფორმაციის ნაკლებობა იწვევს სიტუაციის მაქსიმალურ ეგზალტირებას, განსაკუთრებით ისეთ მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში, როგორშიც პატიმრების მშობლები არიან.

„სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა და მისმა შიდა გამოძიებამ, მას შემდეგ, რაც უტიფრად წაშალა ვანო მერაბიშვილის ე.წ. გატაცებასთან დაკავშირებული ვიდეოჩანაწერი, ნდობა დაკარგა. შესაბამისად, რამდენად ენდობიან პატიმრების მშობლები მათ მიერ წარმოებულ შიდა გამოძიებას, უახლოესი მომავალი გვაჩვენებს. ეჭვი მაქვს, რომ არც მათ ექნებათ ნდობის მაღალი ხარისხი. ძალიან ბევრი რამ არის შესაცვლელი სასჯელაღსრულების სისტემაში იმისთვის, რომ ამ სამინისტრომ ნდობა დაიბრუნოს“, – განაცხადა ახვლედიანმა. (ინტერპრესნიუსი)

## ნაოსნობის წესების დარღვევისთვის თევზსაჭერი სეინერი დააკავეს



შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ფოთის საზღვაო რაიონში, ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე, საქართველოს დროშით მცურავი თევზსაჭერი სეინერი ZEKI EFE UCUNCUOGLU დააკავეს.

სასაზღვრო პოლიციის ინფორმაციით, აღნიშნული სეინერის კაპიტნის, თურქეთის მოქალაქის მიმართ დაიწყო ადმინისტრაციული საქმის წარმოება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114-ე (პრიმა ერთი) მუხლის I ნაწილით.

საქმეს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო აწარმოებს. გემის კაპიტანს, დასავლეთის ოპერატიული სამმართველოს უფროსის მოადგილის დადგენილებით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმა 50 000 ლარის ოდენობით. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რისთვის შეხვდა კახი კალაძე ლევან პირველს?

**ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე აცხადებს, რომ ხუდონჰესის მშენებლობის ინტერესი ბიზნესმენ ლევან პირველსაც აქვს და ამ პროექტის მოწინააღმდეგე ადამიანების უკან რეალურად ბიზნესმენი ლევან პირველი დგას.**

„მე ფაქტები არ მაქვს, რომ ეს პიროვნება ხელს უშლის პროექტს, თუმცა ჭორის დონეზე მსმენია ამაზე. შემდეგ მე შევხვდი ლევან პირველს და მან ღიად გამოხატა, რომ სურს, იყოს ინვესტორი, მაგრამ სახელმწიფოს ამ პროექტზე უკვე ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ინდურ კომპანია „ტრანს ელექტრიკასთან". ვიცე-პრემიერის, კახი კალაძის ამ განცხადებას ავსტრიაში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი „ალიას" ფურცლებიდან პასუხობს: „ეს არის ძველი გაუგებრობა, კალაძეს მე შევხვდი და ყველაფერი გავარკვიე. ჩვენ ერთნაირ პოზიციებზე ვდგავართ, მას ვეთანხმები და ერთად ვდგავართ ამ საკითხში".

დგას თუ არა სინამდვილეში ლევან პირველი ამ პროექტის მოწინაღმდეგე ადამიანების უკან? ჩაირთო თუ არა მოთმინების წამმზომი მხარეებს შორის? ხელისუფლება პოზიციების დათმობას არ აპირებს. კალაძე აცხადებს, რომ „სახელმწიფოში უზენაესია კანონი და ყველა მის ჩარჩოში ექცევა. ეს პროექტი ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა. აზომვითი სამუშაოების დროებით შეჩერება ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნით მოხდა. ინვესტორთან შევთანხმდით, რომ მოხდება მოსახლეობისთვის ჩამორთმეული და ინვესტორისთვის 1 ლარად გადაცემული მიწების დაბრუნება ადგილობრივებისთვის. აზომვითი სამუშაოები უნდა შეჩერდეს, რათა ეს მიწები დარეგისტრირდეს. აზომვითი სამუშაოების დროებით შეჩერება არ ნიშნავს, რომ პროექტი არ შესრულდება". – აცხადებს ენერგეტიკის მინისტრი.

**დასრულდება თუ არა ხუდონჰესის პროექტი სისხლისღვრით? ხატზე შეფიცულები „ალიასთან" საუბარში, აცხადებენ, რომ სვანები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ და სვანეთის დასაცავად.**

**„ალიასთან" საუბარში ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი აკაკი გასვიანი აცხადებს:**

– ლევან პირველთან დაკავშირებით კულუარებშიც კი არავინ ლაპარაკოს, რომ ის „დაფიცულებს" უმაგრებს ზურგს. მე მაინც მეტყოდა ვინმე ინკოგნიტოდ. სვანები კი არ გაიფიცნენ, „დაიფიცეს" და არ დაუშვებენ იქ ჰესის აშენებას. სოზარ სუბარი და ვიქტორ ჯაფარიძე უარით გამოისტუმრეს და მკაცრადაც უთხრეს, ამაზე აღარ დაგველაპარაკოთო. არ შეიძლება ხელისუფლების მხრიდან ასეთი ჯიბრი, პირადად მე არ ვარ უკიდურესი ფორმების მოვანონ მაინც ბოლომდე შევებრძოლებითო.

ხელისუფლებას ვეკითხები, იმ „დაფიცულ" 300 კაცს რას უზამ? ძალიან არ მინდა, ეს რომ მოხდეს, ძლივს ამოვისუნთქეთ და სააკაშვილის რეჟიმი მოვიშორეთ, მაგრამ, თუკი ხელისუფლება არ შეჩერდება, საშინელება დატრიალდება, იმ 300 „დაფიცულ" კაცს რამდენი ნათესავი ჰყავს, არა მარტო სვანეთში მთელ საქართველოში, წარმოიდგინეთ, რა პერმანენტული ძვრები მოჰყვება ამას. ეს უნდა გაითვალისწინოს ხელისუფლებამ, არსებობს ალტერნატიული ვარიანტები და იმუშაონ ამ კუთხით, გაჭრან კლდე და გააკეთონ გვირაბი, სადაც შესაძლებელია წყლის დაგროვება კაშხალის ნაცვლად, ესაა გერმანული პროექტი, რომელიც უსაფრთხოა.

**— კალაძე აცხადებს, რომ მიწებს დავაბრუნებთ, სახლებს ავუშენებთ, 17 მილიონი იქნება სვანეთის ბიუჯეტში, ადგილობრივებს დავასაქმებთო...**

მხრე, მაგრამ ვიცი, რას აპირებს ხალხი. აღძრავენ სარჩელს, მაცხოვრებლების ძალდატანებით აყრის მეთოდების გამოყენების გამო, აღარ დათმობენ ეკლესიასა და საფლავებს, რომელიც ამ ჰესის მშენებლობას უნდა შეეწიროს. სვანებმა განაცხადეს, თითო მოსახლეს მილიონი რომ მოგვცეთ, ამ სულიერების დაკარგვად არ გვიღირსო, მატერიალური ფასეულობებიდან სვანები არ გამოდიან და მთავარი, იცით, რას აპირებენ? – ჩავწვებით ბულდოზერების ქვეშ და ხუდონჰესის მშენებლობას არ დავუშვებთო, ჯარიც რომ შემოიყვანონ.

– ხალხი ამ შეთავაზებას არ დანებდება! კონფერენცია იყო ორი დღის წინ, რომელსაც ესწრებოდა დავით მირცხულავა, ანზორ ჭითანავა და სხვები, ვისაუბრეთ, რა სჯობდა. მირცხულავამ კატეგორიული ტონით ასეთი რამ თქვა, – ხუდონჰესის გარდა, ჰესი არ აშენდება, მიუხედავად იმისა, რომ სხვა პროექტის მომხრე არის ანზორ ჭითანავა, მე ამას არ დავუშვებო.

**— თუკი არსებობს ალტერნატივა, რატომ არის ჩაციკლული ხელისუფლება ხუდონჰესზე?**

– „ნაცებმა" ვერ გაბედეს ხუდონის აშენება, ჩვენ ახლა საიდუმლო ლაბირინთები არ ვიცით, რა ინტერესები დგას ხუდონის მიღმა, მაგრამ ერთი რამაა, როდესაც გეგმიურად 14 თუ 21 ჰესი უნდა აშენდეს ენგურის ხეობაში, ეს ნიშნავს, რომ პრაქტიკულად სოფლები აღარ დარჩება, გაიზრდება წყლის სარკე, ამ ანაორთქლს ვერ შეიწოვს ენგურის ვიწრო კანიონი, რადგან თოვლიანი მთებით არის შემოფარგლული, წამოვა ნალექები და წაილეკება სვანეთი! ეს აქვთ გაცნობიერებული სვანებს და ამიტომ არ დაანებებენ ამ ჰესის აშენებას, სვანები თვლიან, რომ ესაა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სამშობლოს გადარჩენისთვის, ამ ხალხმა დაიფიცა და გააკეთებს იმას, რაც სჭირდება ხეობის დასაცავად. ხელისუფლებას მივმართავ, ნუ შევლენ კონფლიქტში სვანებთან, თორემ ეს კარგად არ დასრულდება.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სახალხო დამცველმა სოფლის მეურნეობის მინისტრს მიმართა



საქართველოს სახალხო დამცველმა სოფლის მეურნეობის მინისტრს წინადადებით მიმართა. როგორც მიმართვაშია აღნიშნული, საქმე ეხება სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის მიერ ლევან ჯაჭვლიანის უფლებების დარღვევის ფაქტს.

„საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ადგილი აქვს ლევან ჯაჭვლიანის კანონისმიერი უფლების დარღვევას. ჯაჭვლიანმა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით მიმართა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს, თუმცა სააგენტოს დირექტორმა არ უზრუნველყო მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა.

სააგენტომ, რომელიც წარმოადგენს საჯარო დაწესებულებას და ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას, მოცემულ შემთხვევაში, დაარღვია კანონის უზენაესობის პრინციპი. კერძოდ, სააგენტოს დირექტორმა უგულებელყო საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გარანტირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ არსებობს ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინამძღვრები, რომლითაც დასტურდება სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის მიერ საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების არსებითად დარღვევის ფაქტი, რამაც გამოიწვია ლევან ჯაჭვლიანის კანონისმიერი უფლებების ხელყოფა.

საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველო სოფლის მეურნეობის მინისტრს პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება მოსთხოვა", – აღნიშნულია სახალხო დამცველის მიმართვაში. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ფანჯიკიძის უწყება ოლიმპიადაში მონაწილე ქვეყნების მოქალაქეებს მიმართავს



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის მხრიდან შესვლის პროცედურების გამარტივებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, 2014 წლის 10 თებერვალს გავრცელდა ინფორმაცია მოსკოვისა და მის მიერ შექმნილი საოკუპაციო რეჟიმის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც 10 თებერვლიდან, სოჭის ოლიმპიადის მიმდინარეობისას, უცხოელებისთვის რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ოკუპირებულ რეგიონში შესვლის პროცედურების გამარტივებას ითვალისწინებს. უწყების შეფასებით, აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს კიდევ ერთ პროვოკაციულ ქმედებას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ და მიზნად ისახავს უცხო ქვეყნების მოქალაქეების შეცდომაში შეყვანას.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს ოლიმპიადაში მონაწილე ქვეყნების ეროვნული დელეგაციების წევრებსა და მოქალაქეებს, თავი შეიკავონ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ვიზიტის განხორციელებისგან და აღნიშნავს, რომ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებზე ვრცელდება განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი, რაც გულისხმობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვას.

„კერძოდ, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა დაშვებულია მხოლოდ: ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან;

ბ) ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე) – გორის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან", – ნათქვამია განცხადებაში.

უწყების განმარტებით, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის დარღვევა ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას და ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. (ინტერპრესნიუსი)

## ბურჭულაძეს ავსტრიის სახელმწიფო ჯილდო გადაეცემა



აღიარებულ ქართველ მომღერალსა და საზოგადო მოღვაწეს, პაატა ბურჭულაძეს ავსტრიიდან საგანგებოდ ჩამოსული დელეგაცია, ავსტრიის სახელმწიფო ჯილდოს გადასცემს. „პირველი ხარისხის საპატიო ჯვარი" მეცნიერებასა და ხელოვნებაში გაწეული ღვაწლისთვის გაიცემა. ჯილდოს გადასაცემად თბილისს ეწვევა ავსტრიის თეატრების ჰოლდინგის გენერალური დირექტორი გეორგ შპრინგერი, ასევე წარმოდგენილი იქნება ავსტრიის პრეზიდენტის ჰაინც ფიშერის საგანგებო წერილი პაატა ბურჭულაძის შესახებ და მისალოცი ტექსტი.

დაჯილდოების ცერემონია გაიმართება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში 12 თებერვალს 12.00 საათზე. 14.00 საათზე კი, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ხელოვნების სასახლის „უკვდავთა თალში" საზეიმოდ გაიხსნება პაატა ბურჭულაძის ხელის ანაბეჭდი.

პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდი „იავნანას" ინფორმაციით, ცნობილ მუსიკოსთა შორის აღნიშნული ჯილდო მიღებული აქვთ ფრენკ სინატრასა და ჰერბერტ ფონ კარაიანს. (ინტერპრესნიუსი)

## ღარიბაშვილი პუტინთან შესახვედრად მზად არის



საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ის მზადაა, რუსეთთან შედგეს პირდაპირი დიალოგი.

„გვაქვს ასეთი განწყობა გუნდში, რომ შედგეს პირდაპირი დიალოგი რუსეთის ხელმძღვანელობასთან. რა ტიპის იქნება და როდის ან სად შედგება ეს დიალოგი, ამაზე ვერაფერს გეტყვით. ჩვენ გვაქვს გადაუჭრელი პრობლემები. ასეთ შეხვედრას სჭირდება ძალიან სერიოზული დაგეგმვა და მომზადება, განსაკუთრებით ასეთი პაუზის შემდეგ. ეს შეხვედრა უნდა იყოს გასაგები ყველასთვის, პირველ რიგში ჩვენი ხალხისთვის. თუ დაიწყება ამ საკითხზე მოლაპარაკება, ამას დასჭირდება ძალიან სერიოზული მომზადება“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ღარიბაშვილის განმარტებით, საქართველოს ახალი ხელისუფლების კონსტრუქციულ დიალოგს რუსეთთან საერთაშორისო არენაზე დიდი მხარდაჭერა აქვს. მან ევროპული ტურნე გაიხსენა და აღნიშნა, რომ ნატო-სა და ევროკავშირის ლიდერებმა, ასევე ამერიკელმა კონგრესმენებმა, რომლებსაც ევროპაში შეხვდა, საქართველოს ახალი ხელისუფლების კონსტრუქციული დიალოგი რუსეთთან მიმართებაში მოიწონეს.

„მათ კიდევ ერთხელ მოგვიწოდეს, რომ კიდევ უფრო გავააქტიუროთ ჩვენი კონსტრუქციული დიალოგი. რა თქმა უნდა, ამაში იგულისხმება პირდაპირი დიალოგი“, – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

პრემიერის შეფასებით, შესაძლოა, პლუსად ჩაითვალოს რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადებაც სოჭსა და თბილისს შორის რეგულარული ავიარეისების მომავალში გაგრძელების თაობაზე. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



# რა მიზნით ჩამოვიდა ნატოს სამხედრო კომიტეტი სინამდვილეში?

ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ნატოს სამხედრო კომიტეტის წარმომადგენლებმა 11 თებერვალს შეხვედრები გამართეს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასთან და პრეზიდენტ მარგველაშვილთან. როგორც გენერალური შტაბის ხელმძღვანელი, ვახტანგ კაპანაძე ამბობს, ეს ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანია. მისივე თქმით, შეხვედრებზე განხილული იქნება რეგიონული უსაფრთხოების საკითხები, ასევე მიზნები და ამოცანები, რომლებიც დასახული გვაქვს ნატოსკენ მიმავალ გზაზე და ასევე, თუ რამდენად ვასრულებთ ამ ამოცანებს. პროგრესი სახეზეა, ეს მათი ვიზიტითაც დასტურდება“.

მართალია, გენშტაბის ხელმძღვანელი, ვახტანგ კაპანაძე აღტაცებულია, ნატოს წარმომადგენლების ჩამოსვლა უკვე დიდი პროგრესია, შეხვედრაზე რეგიონული უსაფრთხოების საკითხებს განვიხილავთო, მაგრამ როგორც სამხედრო ექსპერტი, გიორგი თავდგირიძე ამბობს, დიდი მოლოდინი არ უნდა გვქონდეს, რადგან ეს არის ჩვეულებრივი სამუშაო ვიზიტი:

„სხვათა შორის, პოლიტიკოსებმა ცოტა თავი უნდა შეიკავონ ზედმეტი განცხადებებისგან, არ უნდა მოატყუონ მოსახლეობა. კი, ბატონო, როცა ნატოს წარმომადგენლები ჩამოდიან, ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს უნდა ჩავთვალოთ ჩვეულებრივად. ჩვენ გვახსოვს, როგორ ჩამოდიოდნენ ირაკლი ოქრუაშვილის დროს, ბაჩო ახალაიას დროს, დავით კეზერაშვილის დროს და როგორ იძახდნენ, ძალიან მაგარ რეფორმებს ვატარებთო. რა მოხდა, ახლა ხელახლა იწყებენ? ვიმეორებ, ეს არ არის ცუდი, საჭიროა ჩვენი შესვლა უსაფრთხოების სისტემაში, მაგრამ ეს მოხდება მაშინ, მე-5 პუნქტი ამოქმედდება მაშინ, როცა ნატოში შევალთ, ანუ საქართველოზე თავდასხმა იქნება ნატოს წევრ ყველა ქვეყანაზე თავდასხმა“.

თუ ჩვენ გვეტყვიან, რომ ერთ წელიწადში მოგვცემენ, სულ მცირე, მაპს და გვეტყვიან, როდის მიგვიღებენ ნატოში, მაშინ ეს იქნება წინგადადგმული ნაბიჯი, მაგრამ, რაკი ამაზე არავინ არაფერს ამბობს, უნდა ჩავთვალოთ, რომ ეს არის მორიგი ინსპექტირება და მეტი არაფერი, შეგვაქებენ და წასვლისას ხელს დაგვიქნევენ, როგორც ეს ხდებოდა შევარდნაძისა და სააკაშვილის დროს, მორჩა. სხვათა შორის, ამერიკის 40-ზე მეტი კონგრესმენი ითხოვს, რომ საქართველოს ნატოს შემდეგ სამიტზე გადაეცეს მაპი. რამდენად იმოქმედებს ეს მოთხოვნა ნატოს წევრი ქვეყნების ხელმძღვანელებზე?

ამაზე გიორგი თავდგირიძე ამბობს, რომ ასეთი მოთხოვნები ჯორჯ ბუშის დროსაც იყო, მაგრამ ვინაიდან ნატო არ არის მხოლოდ ამერიკის ხელში, ძნელი წარმოსადგენია, ასე რაიმე გადაწყდეს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს მოთხოვნა პოლიტიკოსებს ეკუთვნით, კონგრესმენებს და არა სამხედრო პირებს, რომლებმაც უკეთესად იციან, რის გამკეთებელია საქართველო.

**თუმცა, როგორც პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ირაკლი სესიაშვილი ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ნატოს სამხედრო კომიტეტის წევრები ასე არ დადიან ყველა ქვეყანაში:**



– ამხელა კომიტეტი გასვლით სხდომას ატარებს თბილისში, ასეთი რამ არ ხდება ყველა ქვეყანაში.

**— ირაკლი, ეგ გასაგებია, მაგრამ გიორგი თავდგირიძე ამბობს, რომ ეს ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია და ბევრს არაფერს გვაძლევს, ანუ ხმამაღალი და ტყუილი იმედების მომცემი განცხადებები არ უნდა ვაკეთოთ.**

– მე მგონი, ადამიანი ჩასაფრებული უნდა იყო, რომ ასე შეაფასო ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრები.

**— არავინ არ არის ჩასაფრებული, ამ საკითხის მთლად გაფეტიშება არ შეიძლებაო.**

– პირდაპირ გეტყვი, შემოდგომაზე ლონდონში არის ნატოს სამიტი, ახლა ჩვენთვის ყველა წვეთი მნიშვნელოვანია. თუ გვინდა, რომ ცოტა წინ წავიწიოთ ნატოსთან მიმართებაში, რა თქმა უნდა, ასეთი შეხვედრები ნამდვილად გვაწყობს.

**— მე გეკითხებით, ეს კონკრეტული ვიზიტი რამის მომტანი არის?**

– რა თქმა უნდა, არის, ბევრ ქვეყანას არ დასიზმრებია ამ კომიტეტის ვიზიტი. ახლა ეს ხალხი ტყუილად რომ არსად არ დადის, ხვდები, ხომ? ისინი პოზიტიურად აფასებენ ჩვენს საქმიანობას, ჩვენი ჯარისკაცები კარგად არიან მომზადებულები, მათი სტატუსი ავღანეთში თითქმის გათანაბრებულია წამყვანი ქვეყნების ჯარისკაცებთან. ამის არდანახვა მართლა არ შეიძლება. თუ ვინმე კარგს აკეთებს და კარგი რაღაცა ხდება, არ არის აუცილებელი, გავაკრიტიკოთ. როდესაც გავლენიანი კონგრესმენები ჩვენთვის მაპს ითხოვენ, ეგეც კარგია. ისინი პირდაპირ ამბობენ, მაპი მიეცით საქართველოსო.

**— ბოლო დროს მართლა შეინიშნება ამ მხრივ გააქტიურება, მაგრამ ბევრი თვლის, რომ ამას მოჰყვება რუსეთის საპასუხო ნაბიჯები.**

– კი, სიტუაცია გააქტიურებულია... 17 თებერვალს, საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად, ბრიუსელში მივდივარ, მაქვს უამრავი შეხვედრა. რაც შეეხება რუსეთის აგრესიას, ამისი არ უნდა შეგვეშინდეს. სწორედ აქედან ამოდის ექსპერტების ნაწილი. ჩვენ ვერ გავექცევით იმას, რომ გეოპოლიტიკურად ვცხოვრობთ დასავლეთსა და რუსეთს შორის ფრონტის ხაზზე. მე ვფიქრობ, რუსეთი უკვე შევაგუეთ იმას, რომ ჩვენი დასავლური ორიენტაცია უცვლელია.

**— შეეგუა, რას ნიშნავს, რუსეთი შეიცვალა?**

– ჩვენ დასავლელ მეგობრებს ვუხსნით, რომ რუსეთი ჩვენი მეზობელი ყოველთვის იქნება, ყოველთვის გვექნება გარკვეული საფრთხეები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, არ გვქონდეს პრეტენზია, უსაფრთხო ქვეყანაში ვიცხოვროთ. თუ ვართ მეგობრები, უნდა ვიყოთ მეგობრები.

დიახ, მეგობრობა და უსაფრთხო ქვეყანაში ცხოვრება კარგია, მაგრამ რუსეთი რომ კავკასიაში ნატოს ბაზების განლაგებას არ დაუშვებს, ესეც უნდა გავითვალისწინოთ. ახლა იწყება ჩვენი სვლა ბეწვის ხიდზე, ჩამთავრდება ზამთრის ოლიმპიადა და კრემლი პირდაპირ დააყენებს ამ საკითხს დღის წესრიგში.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

**სს „ხრამჰესი 1“ აცხადებს №X1-01-2014 ღია კონკურსს შიბერული საკეტების მართვის სისტემის პროექტირების, მოწოდებისა და მონტაჟის სამუშაოებთან დაკავშირებით.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 1"-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : 0322 330829, 551 461949

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 1"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, ა. აფაქიძის ქ. №7

***წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 12 მარტს 15 სთ.***

**სს „ხრამჰესი 1“ აცხადებს №X1-02-2014 ღია კონკურსს ჰიდროგენერატორის სტატორის ჰაერის გამაგრილებლის კომპლექტის მოწოდება-მონტაჟის სამუშაოებთან დაკავშირებით.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 1"-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : 0322 330829, 551 461949

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 1"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, ა. აფაქიძის ქ. №7

***წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 12 მარტი 15 სთ.***

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



## თბილისის მერიამ ყველა შენიშვნა გაითვალისწინა



თბილისის მერიამ 2014 წლის ბიუჯეტის პროექტში დედაქალაქის საკრებულოს უმრავლესობის ყველა შენიშვნა გაითვალისწინა. მისი თქმით, მთავრობის სხდომის ძირითადი საკითხი ბიუჯეტის პროექტია, რომელიც კიდევ ერთხელ განახლდა და მასში გათვალისწინებულია თბილისის საკრებულოს უმრავლესობის მიერ მოწოდებული ყველა შენიშვნა.

„ჩვენ ვიმუშავეთ და შენიშვნების გათვალისწინებით პროექტი წარმოდგენილია ცვლილებებით. ახლა ჩვენ გვაქვს სამუშაო, რათა ერთმანეთთან შევათანხმოთ, რა წყაროებიდან მოხდება დაფინანსება. აქედან გამომდინარე, თბილისის საკრებულოს არავითარი საფუძველი არ ექნება, ბიუჯეტი არ დამტკიცდეს“, – აღნიშნა სევდია უგრეხელიძემ.

რაც შეეხება საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებას უნდობლობის თაობაზე, მერის მოვალეობის შემსრულებლის თქმით, საკრებულოს უმრავლესობას ეს საფუძველიც გამოეცლება.

„ვინაიდან ბიუჯეტის დამტკიცების შემთხვევაში, მზად ვართ, სინქრონულად გადადგეს ჩვენი მთავრობა, თუ გადადგება საკრებულოს თავმჯდომარე, და „ნაციონალური მოძრაობიდან“ „ქართულ ოცნებაში“ გადაბარგებული წევრები, რომლებმაც ამის შედეგად, ალბათ, დიდი სიკეთე მიიღეს. ჩვენ გვჯერა, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს უმრავლესობა არ შეირცხვენს თავს, დაეთანხმებიან ბიუჯეტს და ამის შემდეგ ყველაფერი დაწყნარდება თბილისელების საკეთილდღეოდ, მათ სასარგებლოდ და დამთავრდება ეს ძალიან უხერხული კინკლაობა“, – აღნიშნა უგრეხელიძემ. (ინტერპრესნიუსი)



# რატომ ამცირებენ კლასებში მოსწავლეთა რაოდენობას 25-მდე?

## და რა ელით „შემცირებულ“ ბავშვებს?

განათლების მინისტრის მოადგილის, ლია გიგაურის განცხადებით, კლასში მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდება: „აქამდე კლასში მოსწავლეთა რაოდენობა 30 ბავშვით იყო განსაზღვრული, იგეგმება ამ რაოდენობის დაკლება 5 მოსწავლით. აქამდე იყო გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევები, მაგალითად, როცა ოცდამეთერთმეტე ბავშვი იყო ტყუპისცალი და აუცილებლად უნდა ესწავლა ამ კლასში, ასევე თუკი სკოლა მდებარეობდა მაღალმთიან რაიონში, ან ისეთ ადგილზე, სადაც მოსწავლეების წასაყვანად სხვა სკოლა არ არის, ასეთი შემთხვევების გათვალისწინება ახლაც მოხდება“.

**რატომ და რა მიზნით ხდება მოსწავლეების შემცირება კლასებში?**

**ამის გასარკვევად „ალია“ განათლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელს ნათა ასათიანს დაუკავშირდა:**

– გამოვლინდა, რომ მასწავლებელს თითო ბავშვთან მუშაობის შესაძლებლობა ნაკლები აქვს, ვიდრე იმ კლასებში, რომლებიც ნაკლებად გადატვირთულია მოსწავლეებით. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სტანდარტების გავალისწინებით, სამინისტრომ გადაწყვიტა, კლასში ოპტიმალურად 25 ბავშვი დატოვოს. რაც შეეხება ზედმეტ ბავშვებს, ეს ზედმეტი ბავშვები გადანაწილდებიან სხვა კლასებში, ანუ ახალი კლასები შეიქმნება. ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით, ქალბატონი ლია გიგაური შეხვედრაზეა.

**„ალია“ განათლების საკითხების ექსპერტს მანანა ნიკოლაიშვილსაც დაუკავშირდა:**

– ძალიან კარგი ფაქტია და ეგ პირდაპირ აისახება განათლების ხარისხზე. ეს მოთხოვნა ჩვენ ჩავწერეთ „ქართული ოცნების“ პროგრამაში, ამაზე კომისია მუშაობდა და ამას ვითხოვდით მთელი 9 წლის მანძილზე. სხვათა შორის, სააკაშვილის ხელისუფლებამდე იყო 25 ბავშვი კლასში და ეს იყო რეფორმის მონაპოვარი, მაგრამ სააკაშვილმა გაზარდა მერე ეს რიცხვი და კლასში 30 მოსწავლე გახადა, მაგრამ ეს ქაღალდზე რაც ეწერა, თორემ სინამდვილეში კლასებში იჯდა იმდენი ბავშვი, რომ ერთ კლასს 2 საკლასო ჟურნალი სჭირდება, რომ ეს ბავშვები აღირიცხოს. თქვენ რა გგონიათ, 40 და 45 ბავშვია დიდი ქალაქების სკოლებში. ახლა, ამ ახალი კანონით, კლასებს მოაკლდება 5-5 ბავშვი და იქიდან შეიქმნება ახალი კლასები.

**— ხომ არ იცით, აქ ყველა კლასზეა ლაპარაკი? ნიუსში მითითებული არ არის.**

– ეტყობა, ყველა კლასში. ისე, ჩემი აზრით, რახან ყველა კლასში მოხდება შემცირება, 25 მოსწავლე ბევრია და კიდევ უნდა შემცირდეს რაოდენობა. ხარისხი თუ გინდა, რაც უფრო ნაკლები იქნება ბავშვების რაოდენობა, მით უკეთესია ხარისხი.

**— ოპტიმალური რაოდენობა რამდენია კლასში მოსწავლის?**

– საუკეთესო ვარიანტია 5 ბავშვი კლასში, მაგრამ ეგრე სად არის? 15 ბავშვიც შესანიშნავია.

**— ასე რომ, კიდევ მოუწევთ დაწევა?**

– თუ ფულს ჩადებს ამ პროექტში „ქართული ოცნება“, ამ შემთხვევაში კი, მაგრამ ახალი მთავრობა განათლებისთვის ფულს ვერ იმეტებს. რასაც ეგ ცვლილება ითვალისწინებს, ამისთვის საჭირო გახდება ფინანსების დამატება ბიუჯეტიდან.

**— კერძოდ?**

– ახალი კლასების გახსნას ფული სჭირდება. სამაგიეროდ, ეს გამოიწვევს, როგორც გითხარით, ხარისხის მნიშვნელოვნად ამაღლებას, ახალი კლასების გახსნას და მასწავლებლებსაც საათები მოემატებათ. ეს ასევე პოლიტიკური დატვირთვის საკითხიცაა.

**— თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, კიდევ რა ცვლილებას შეიტანდით ამ მხრივ? გიფიქრიათ ამაზე?**

– ახლავე გეტყვით. უნდა შევიდეს კანონში ცვლილებები და სასწავლო გეგმაში უნდა გაჩნდეს ასეთი ჩანაწერი, თუმცა ეს იყო და სააკაშვილმა წლების წინათ გააუქმა, ანუ: ქართულ ენასა და ლიტერატურაში კლასები სწავლისას უნდა გაიყოს, უცხო ენის სწავლებისას კლასები უნდა გაიყოს, შრომითი სწავლება „ნაციონალებმა“ გაანადგურეს და გააფარჩაკეს, ეს უნდა აღდგეს და, ასევე შრომითი სწავლების დროს კლასი უნდა გაიყოს და ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიული გაკვეთილები უნდა გაიყოს.

**— რაც შეეხება ფიზკულტურას?**

– კი, ასევე, ფიზიკური კულტურის გაკვეთილებიც უნდა გაიყოს. სააკაშვილმა, ცხადია, ფულის ეკონომიის აზრით, აკრძალა კლასების გაყოფა და ეს აუცილებლად უნდა აღგეს. მშობლიური ენისა და ლიტერატურის ხარისხს ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ ავწევთ, თუ ეს არ მოხდა. კატასტროფული სიტუაციაა ამ მხრივ, რადგანაც ბავშვებს დაავიწყდათ მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა და ვერ მეტყველებენ.

**— „ქართულმა ოცნებამ“ შემოიღო კანონი ენის დაცვის შესახებ, მართალია, ეს უმეტესად ტელეჟურნალისტებს ეხება, მაგრამ ჟურნალისტებიც სკოლიდან მოვდივართ, ასე არ არის?**

– მაგას ვამბობ, ჯარიმები და ათასგვარი რამ რომ უნდათ შემოიღონ, მამაცხონებულებმა, რა ჯარიმებია საჭირო? რომ არ გაქრეს საერთოდ მშობლიური ენა და არ დამახინჯდეს ენა, გაყავით კლასები და ასწავლეთ ფუნდამენტურად ბავშვებს საკუთარი ენა.

**— რა მაგის პასუხია და თავად პარლამენტარები როგორ მეტყველებენ, ესეც ხომ მნიშვნელოვანია?**

– ეგ კიდევ სხვა თემაა. ამას, რასაც ვამბობ, ასე იყო და ეს სწორი იყო, მერე რომ შეცვალეს ყველაფერი. კარგია, თუ ისევ აღდგება ეს სისტემა.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

## შიხიაშვილი გამგებლებს შეხვდა



11 თებერვალს საკრებულოს თავმჯდომარესთან შეხვედრაზე ოთხი რაიონის, ისნის, კრწანისის, ჩუღურეთისა და ძველი თბილისის რაიონების გამგებლები იმყოფებოდნენ. ძველი თბილისის რაიონის გამგებლის ნიკა მელიასა და ჩუღურეთის რაიონის გამგებლის დავით დაღელაშვილის შეფასებით, შეხვედრამ კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარა.

საკრებულოს თავმჯდომარეს გამგებლებმა ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის გამო გამგეობაში შექმნილი პრობლემები გააცნეს. გამგებლებმა აღნიშნეს, რომ ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში მარტში პრობლემები კიდევ უფრო გაღრმავდება.

დავით დაღელაშვილის თქმით, ერთი მეთორმეტედის ფარგლებში ჩუღურეთის რაიონის ბიუჯეტი თებერვალში თითქმის ამოწურულია, აქედან გამომდინარე, მარტში, სავარაუდოდ, მოუწევთ იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე უარის თქმა, რაც ავარიული სახლების გამაგრებას გულისხმობს. მისივე თქმით, არის ბიუჯეტის სხვა მუხლებიც, კერძოდ, თანადაფინანსებით განსახორციელებელი პროგრამები, როგორიც არის შიდა წყალკანალიზაციის მოწყობა და სხვ., რომელთა დაფინანსების პრობლემებიც შეიძლება შეიქმნას.

ირაკლი შიხიაშვილის თქმით, 6 თებერვალს თბილისის მერიას მისწერა წერილი, როგორ ახორციელებენ ერთი მეთორმეტედის ფარგლებში რაიონების გამგეობები პროგრამებს და სადმე ხომ არ წარმოიშვება აპოკალიფსური სიტუაცია. სწორედ ამ მიზნით, ის შეხვდა რაიონების გამგებლებს. მისი თქმით, სურს, დაარწმუნოს საზოგადოება, რომ საფრთხე არ არსებობს. შიხიაშვილის მტკიცებით, ბიუჯეტის ერთი მეთორმეტედით ქალაქი ნორმალურ რეჟიმში იცხოვრებს. თუმცა აქვე აღნიშნა, რომ გამგებლებისგან საინტერესო მოსაზრებები მოისმინა და მათ გაითვალისწინებს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტები მარგველაშვილის განცხადებას ეხმაურებიან

„საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია“ ეხმიანება პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განცხადებას ვლადიმერ პუტინის რეპლიკაზე მხარეთა შესაძლო შეხვედრასთან დაკავშირებით. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მეთაურის პოზიცია იმის თაობაზე, რომ პუტინის მესიჯის ანალიზი და მასზე რეაგირება განხორციელდება კონსულტაციების შემდეგ, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ახლად რეგლამენტირებული კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმების რეალურ ამოქმედებას.

„მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ნორმა, რომელიც სახელმწიფოს მეთაურს ანიჭებს უფლებამოსილებას, აწარმოოს მოლაპარაკებები სხვა სახელმწიფოებთან იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მთავრობასთან წინასწარი შეთანხმება. ამდენად, ქარწყლდება საკონსტიტუციო რეფორმის დასაწყისში წარმოშობილი შეხედულება, რომლის თანახმადაც ქართულ რეალობაში გართულდებოდა სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტი ერთპიროვნული მმართველობის ფორმიდან საარბიტრაჟო კომპეტენციების მქონე ინსტიტუტად უმტკივნეულოდ ჩამოყალიბებულიყო“, – აცხადებენ ორგანიზაციაში. (ინტერპრესნიუსი)

## „საქართველოს ევროპული არჩევანი არ გადაიხედება“



საქართველოს მთავრობის მეთაურის განმარტებით, ევროპული არჩევანი არის არა მხოლოდ ქართული პოლიტიკის ელიტის ან ხელისუფლების არჩევანი, არამედ – საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის არჩევანი.

„ჩვენ კიდევ უფრო მეტად ვართ წახალისებული საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერით. აქედან გამომდინარე, ვთვლი, რომ საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესი უკვე გახდა შეუქცევადი და ჩვენ ნათლად დავადასტურეთ, რომ საქართველოს ევროპული არჩევანი არ გადაიხედება. ჩვენ ეს ღიად ვთქვით და მე ეს დავადასტურე ევროკავშირში გამართული შეხვედრების დროსაც“, – განაცხადა პრემიერმა.

ღარიბაშვილის შეფასებით, ევროკავშირში საქართველოს მიმართ ინტერესი გაათმაგებულია, ვინაიდან მსოფლიო უკვე დარწმუნდა, რომ საქართველოს ჰყავს კონსტრუქციულ დიალოგზე ორიენტირებული ხელისუფლება.

„ისინი ერთხმად აღიარებენ საქართველოს მიერ ნებისმიერი მიმართულებით მიღწეულ აშკარა პროგრესს. ისინი ერთხმად აღიარებენ საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ მიღწეულ შედეგს 2013 წელს, კარგად ხედავენ, რომ შევძელით რთული პროცესის მართვა, რასაც ე.წ კოჰაბიტაცია ჰქვია. ჩვენ შევძელით, გაგვეფანტა კითხვები, რომელიც არსებობდა ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებასთან დაკავშირებით, შევძელით, ჩაგვეტარებინა უპრეცედენტოდ გამჭვირვალე და თავისუფალი არჩევნები, რომელიც უნიკალურია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რეგიონში. ისინი პოზიტიურად აფასებენ ახალი ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით მიღწეულ შედეგებს, ჩვენ მიერ წამოწყებულ რეფორმებს იგივე სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ხარისხის ამაღლების კუთხით, პროკურატურის მიმართულებით, არმიის, პოლიციის დეპოლიტიზებისა თუ ბევრი სხვა მიმართულებით, მათ შორის კულტურასა და სპორტში“, – განაცხადა პრემიერმა. (ინტერპრესნიუსი)

## სოსო ალავიძე უშიშროების სამსახურს უხელმძღვანელებს



თბილისის პოლიციის სამმართველოს ყოფილი უფროსი, სოსო ალავიძე „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“ უშიშროების სამსახურს უხელმძღვანელებს. ამ ინფორმაციას კომპანიაში ადასტურებენ.

სოსო ალავიძისთვის გაუგებარია, რატომ გამოიწვია აჟიოტაჟი მისმა დანიშვნამ.

„ამაზე მეტად საინტერესო ინფორმაცია არ არსებობს ქვეყანაზე? რამ გამოიწვია ასეთი აჟიოტაჟი, ძალიან მაინტერესებს“, – აღნიშნა ალავიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## გეგუთის ციხის სამი პატიმრის ჰოსპიტალიზაცია მოხდა



გეგუთის ციხეში მოთავსებული პატიმრების ახლობლებმა 10 თებერვლის ღამე კოლონიასთან გაათენეს. აღნიშნულის გამო ადგილზე მთელი ღამის განმავლობაში მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია.

კოლონიასთან მცირე ინციდენტიც მოხდა – პატიმართა ახლობლებმა ადგილზე სასწრაფო დახმარების ბრიგადის გამოჩენის შემდეგ ციხის ცენტრალური შესასვლელის გადაკეტვა სცადეს. ისინი საპატიმროში არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციას ითხოვდნენ. თავად ექიმების განცხადებით, ღამის განმავლობაში შიმშილობის აქციის შედეგად დასუსტებული სამი მსჯავრდადებულის ჰოსპიტალიზაცია გახდა საჭირო. (ინტერპრესნიუსი)



# გეგუთის კოლონიაში პატიმარს ფიზიკურად გაუსწორდნენ?

## რით იმართლებს თავს სუბარი ექსპერტიზის შემდეგ?

**გეგუთის №14 სასჯელაღსრულების დაწესებულებასთან მესამე დღეა, პატიმართა ოჯახის წევრების აქციები არ წყდება. 11 თებერვლიდან მათ შიმშილობა დაიწყეს. ისინი ციხის ადმინისტრაციის სამსახურიდან განთავისუფლებას ითხოვენ.**

**უფლებადამცველ დიმიტრი ლორთქიფანიძის განცხადებით, ერთ-ერთ პატიმარს ფიზიკურად გაუსწორდნენ.**

**დეტალების დასაკონკრეტებლად „ალია“ დიმიტრი ლორთქიფანიძეს დაუკავშირდა:**

– მე გავახმაურე კონკრეტული ფაქტი, როგორ გაუსწორდნენ 2-3 დღის წინ გეგუთის დაწესებულებაში პატიმარს ფიზიკურად. ამის შემდგომ დამიკავშირდნენ ნაცემი პატიმრის ოჯახის წევრები, მათ უკვე აიყვანეს ადვოკატი და მათ უფლებებს დაიცავს დავით ხომერიკი. პატიმარს სამედიცინო ექსპერტიზა უკვე ჩაუტარდა და დასკვნა უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. ეს პატიმარი გახლავთ 32 წლის იმედა ხახუტაიშვილი. მე ვესაუბრე პატიმრის ოჯახის წევრებს და ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რომ გაირკვევს, რა მოხდა. პატიმრის ოჯახის წევრები ხახუტაიშვილზე ფიზიკური ანგარიშსწორების შემსრულებლად ასახელებენ სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორს, ბატონ კახა ბედიასა და მის მოადგილეს ბესო მაქაცარიას. პატიმარზე ფიზიკური ზეწოლა განხორციელდა გარკვეული ჩვენების მოთხოვნის მიზნით. რა ჩვენების მიღებას ითხოვდნენ, ჯერჯერობით ეს ჩემთვის უცნობია. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ვალდებულება და პრეროგატივაა, რომ დაიწყონ მოკვლევა ამ ფაქტზე და პროკურატურამ დაადგინოს, რა მოხდა.

**— თქვენ ყოველდღიურ რეჟიმში ხვდებით პატიმრების ახლობლებს და გაქვთ სატელეფონო საუბარი მსჯავრდადებულებთან, რა ხდება იქ ისეთი, რაზეც ჯერ არ უსაუბრიათ? სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ ციხეში განვითარებული პროცესები გარედან არის მართული და რომ მან პატიმრების მოსალოდნელი ბუნტის შესახებ წინასწარ იცოდა.**

– თქვენ კარგად მოგეხსენებათ, როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, რუსთავის ნომერ მე-16 დაწესებულებაში მთლიანად შეიცვალა ხელმძღვანელობა და გაათავისუფლეს ის პირები, რომლებიც პატიმრებმა ამხილეს მათდამი არაადამიანურ მოპყრობასა და წამების ფაქტებზე. ეს ადამიანები გახლდნენ ბატონი აბურჯანია და მისი მეგობრები. მაშინ ახალი მოსული ხელისუფლება იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო და ადმინისტრაცია მთლიანად შეეცვალა. ეს დათმობა კი არ იყო, ეს იყო სწორი და სამართლებრივი ნაბიჯი. დღეს კი სოზარ სუბარი აცხადებს, რომ თურმე პატიმრებს მონდომებიათ, ადმინისტრაცია შეცვალონ და ამბობს, რომ ხელისუფლება და სასჯელაღსრულების სამინისტრო არ აპირებენ, პატიმრებს რაიმე დაუთმონ. სინამდვილეში აქაც ანალოგიური თემაა. ჯონი დანელია, რომელიც გადმოყვანილი ჰყავთ ქსნის მე-15 დაწესებულებიდან, თავის დროზე პატიმრებმა ამხილეს ადამიანების წამებაში. დღეს დამიკავშირდნენ გეგუთის მე-14 სასჯელაღსრულების დაწესებულების პატიმრები და მითხრეს, რომ ეს ადამიანი ამჟამად არის მესამე კორპუსის ცვლის ოფიცერი. ადამიანი, რომელიც პატიმრების წამებაშია მხილებული ცვლის ოფიცერია და სოზარ სუბარს ახლა უკვირს, რომ პატიმრები ითხოვენ ამ პირების განთავისუფლებას. ზოგადად, არსად, სასჯელაღსრულების არც ერთ დაწესებულებაში არ უნდა მუშაობდეს პირი, რომელიც ადამიანის წამებაშია მხილებული.

**— რასაც პატიმრები გიყვებიან, გასაგებია, მაგრამ საზოგადოება უფრო ყოფილი ომბუდსმენის, სუბარის ნათქვამს იჯერებს, რომ პროცესები გარედან იმართება. რამენაირად შეიძლება ხალხის დარწმუნება იმაში, რომ პატიმრები არ იტყუებიან?**

– უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი სამედიცინო დასკვნა პატიმრის ცემასთან დაკავშირებით და მერე ვნახოთ, როგორი იქნება ბატონი მინისტრის პასუხი. მე როდესაც მქონდა შესაძლებლობა, რომ საზოგადოებრივი მონიტორინგის ფარგლებში შემემოწმებინა სასჯელაღსრულების დაწესებულებები, ნამდვილად ყოველდღე შევდიოდი ამა თუ იმ დაწესებულებაში, გამომქონდა იქიდან ინფორმაცია და ვაკეთებდი საანგარიშო მოხსენებებს. სამწუხაროდ, 2013 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით ჩვენ ეს უფლება შეგვეზღუდა და საერთოდ გაუქმდა საზოგადოებრივი მონიტორინგის ფორმატი იმ პირობით, რომ გასული წლის თებერვალში განახლდებოდა და მოხდებოდა დატრენინგება მონიტორების. გვქონდა პირობა, რომ განხორციელდებოდა მონიტორინგი ისე, როგორც ეს არის გათვალისწინებული საერთაშორისო სამართლის ნორმებით. თუმცა აღმოჩნდა, რომ „გადაგვაგდეს“. ახლა ციხეები საზოგადოებრივი მონიტორინგისთვის დახურული თემაა და სწორედ ამიტომ არის, რომ სოზარ სუბარი იძახის, პატიმრებს არაფერს დავუთმობთო. ციხეზე მონიტორინგი არ ხორციელდება და ვინ გაუწევს წინააღმდეგობას სუბარს და ვინ დაუდებს მტკიცებულებებს, რომ ტყუილს ამბობს?

მე წინა მოწვევის პარლამენტში წარმოვადგენდი პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს და ჩემთვის კარგად არის ცნობილი, რა არის პირველი რიგის ამოცანა, რომელიც უნდა განხორციელდეს, რათა არ მივიღოთ ის სავალალო შედეგი, რაც 9 წლის განმავლობაში გქონდა. ეს არის, პირველ ყოვლისა, საზოგადოებრივი და მედიის თვალი სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე. საზოგადოებრივი მონიტორინგი უნდა ხორციელდებოდეს იმის გამო, რომ პატიმართა მდგომარეობის ანალიზი მოხდეს ყველა მიმართულებით, დაწყებული სარეჟიმო პირობების შესწავლით, დამთავრებული ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობითა თუ პირადი კორესპონდენციით. ყველაფერს სჭირდება მუდმივი მონიტორინგი. ამიტომ ჩვენ, უფლებადამცველი ორგანიზაციები, უნდა გავერთიანდეთ ამ იდეის გარშემო და უნდა მოვახდინოთ ინიცირება ასეთი მონიტორინგის ჯგუფის ჩამოყალიბებისა, რამაც უნდა უზრუნველყოს პატიმრების უფლებების დაცვა ადგილზე. აუცილებლად დავიწყებთ ამაზე მუშაობას.

**„ალია“ კომენტარისთვის სასჯელაღსრულების სამინისტროს პრესსამსახურის უფროსს, თაია მახარაშვილს უკავშირდებოდა, გვაინტერესებდა, რა იცოდა პატიმრის ცემის შესახებ და ისიც, მუშაობს თუ არა ამჟამად გეგუთის დაწესებულებაში ჯონი დანელია, რომელსაც პატიმრების წამებაში ადანაშაულებენ. სამწუხაროდ, თაია მახარაშვილს ტელეფონი გათიშული ჰქონდა.**

შორენა გოგოლაძე
599 27 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნარმანია ბიზნესმენებს შეხვდა



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია ბიზნეს-ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა.

მინისტრმა შეხვედრის მონაწილეებს 2014 წლის დაგეგმილი პროექტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და სამომავლო თანამშრომლობის საკითხებზე ესაუბრა.

„ჩვენ ვისაუბრეთ 2014 წლის იმ პროექტებსა და პროგრამებზე, რომელიც გამოცხადდება უახლოეს მომავალში და საერთოდ წლის განმავლობაში და რომელიც ყველაზე საინტერესოა ბიზნესსექტორისთვის, იმდენად რამდენადაც, ისინი ჩვენი პოტენციური სამუშაოს შემსრულებლები არიან“, – აღნიშნა დავით ნარმანიამ.

მისივე თქმით, შეხვედრაზე მათ ავტომაგისტრალების მშენებლობასთან დაკავშირებით გამოსაცხადებელ ტენდერებზე, ასევე წყალმომარაგების კუთხით და მუნიციპალური და რეგიონული ინფრასტრუქტურის კუთხით გამოსაცხადებელ ტენდერებზე პრეზენტაციაც გამართეს.

ნარმანიას შეფასებით, განსაკუთრებით საინტერესოა ახალი მიმართულებით დაგეგმილი პროექტები, რომლებიც ეხება წყალმომარაგების, ასევე ავტომაგისტრალებისა და მეორად საავტომობილო გზებთან დაკავშირებულ ტენდერებს. ნარმანიას განცხადებით, ტენდერების გამოცხადება ამ პროექტთან დაკავშირებით ეტაპობრივად დაიწყება. (ინტერპრესნიუსი)

## რუმინეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს

რუმინეთში ვიზიტის ფარგლებში პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა ბოლო ოფიციალური შეხვედრა რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ტიტუს კორლეცანთან გამართა. როგორც რუმინეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა განაცხადა, რუმინეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. მან ქართულ მხარეს ვილნიუსის სამიტზე ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა მიულოცა.

კორლეცანმა აღნიშნა, რომ აუცილებელია ინტენსიური დიალოგი არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ საკითხებზეც. მხარეებმა აღნიშნეს, რომ ამ საკითხებზე ორივე ქვეყნის შესაბამისი უწყებები უკვე მუშაობენ. შეხვედრაზე ითქვა, რომ მარტში დაგეგმილი რუმინეთის პრემიერ-მინისტრის საქართველოში ვიზიტი ერთგვარად ხელს შეუწყობს ეკონომიკური პროექტების განხორციელებას.

დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს სურს, რუმინეთთან ერთად ერთობლივი პროექტების განხორციელება. „თქვენი სახით შავი ზღვის აუზში ჩვენ გვყავს ერთ-ერთი ძლიერი მხარდამჭერი და მეგობარი“, – აღნიშნა უსუფაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## მინისტრსა და მოადგილეს შორის გაუგებრობა ცუდიაო

პარლამენტის ვიცე-სპიკერი, მანანა კობახიძე კულტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან მარინე მიზანდარის განთავისუფლებას ეხმაურება. მისი თქმით:

„ცუდია, როდესაც რაღაც გაუგებრობაა მინისტრსა და მოადგილეს შორის. მართვა ზოგადად უნდა იყოს შეთანხმებული, თანხვედრაში. შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა არსებობდეს, მაგრამ თუ დაუმორჩილებლობამდე მიდის ეს, საქმეს ავნებს და არ არის კარგი“, – აღნიშნა კობახიძემ.

მისივე თქმით, სამინისტროებში საკადრო პოლიტიკის გატარება მთავრობის პრეროგატივაა და ამაში პარლამენტი ვერ ჩაერევა.

„ისე, პრობლემა რაც ნაკლები იქნება გაუგებრობებისა და შეუთავსებლობების გამო მთავრობაში და ამაში დრო არ დაიხარჯება, ეს უკეთესი იქნება“, – აღნიშნა კობახიძემ.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ბრძანებით, მარინე მიზანდარი კულტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლდა. (ინტერპრესნიუსი)

# „დადგა დრო ხალხის ძალის დემონსტრირებისა!!!“

## რას მოუწოდებს ჯონდი ბაღათურია მოსახლეობას?



„დადგა დრო ხალხის ძალის დემონსტრირებისა!!! გაზაფხულზე ორგანიზებული აქციები უნდა დავიწყოთ... საკმარისია დუმილი და საკმარისია ხელისუფლებისგან მოწყალების ლოდინი... უნდა მოვითხოვოთ სამართალი და ღირსეული ცხოვრების უფლება... არ მეთანხმებით?“ – „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია სოციალურ ქსელში ორგანიზებულ აქციას აანონსებს.

რა მოხდება გაზაფხულზე, ამის პროგნოზირება რთული არ არის, რადგან ყველა პოლიტიკური თუ სოციალური პარამეტრით, იგრძნობა, რომ ხალხი გაზაფხულზე იხუვლებს, „ნაცისტები“ ამ ტალღას რომ „შემოასხდებიან“, ამის „პოლიტიკური დენთის სურნელი“ უკვე იგრძნობა. „ნაცისტების“ საპროტესტო ვექტორი საქართველოში „პუტინიადის“ დასაწყისზე გასწორდება. რაც შეეხება ე.წ. არასაპარლამენტო ოპოზიციას, თუკი ისინი ემოციას გონებას არ დაახმარენ და ადგილობრივ არჩევნებზე კოალიციურ ფორმატში არ გამოვლენ, სულ მცირე, გამარგინალდებიან და იმ ადგილსაც დაკარგავენ, რომელი სამრეკლოდანაც ისინი დღეს რეკავენ. დღეს ოპოზიცია საკითხს ასე სვამს, თუკი ხელისუფლება საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ოპოზიციის ინიციატივებს არ გაითვალისწინებს, ხალხი ქუჩაში უნდა გამოვიდეს და დემოკრატიული რეფორმები მოითხოვოს. საპროტესტო აქციებისკენ ჯერ მხოლოდ „ქართულ დასის“ ლიდერი მოუწოდებს, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ „ქართულ დასში“ მომწიფებულ იდეას სხვა პარტიებიც შეუერთდნენ.

**„ალიასთან საუბარში „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია აცხადებს:**

– ხელისუფლებამ ყველა გზა მოგვიჭრა, ყველა თემაზე, ყველგან ყრუ კედელია, გახსნილია მხოლოდ ორი უწყება, ეს არის ჯანდაცვის სამინისტრო და სუბარის უწყება. ხელისუფლება უარს ამბობს დემოკრატიულ რეფორმებზე, სამართლიანობის აღდგენაზე, სასამართლო რეფორმაზე, სამუშაო ადგილების შექმნაზე, საპენსიო რეფორმაზე. პრაქტიკულად, ადამიანის ყველა უფლება ფეხქვეშ არის გათელილი, ამ დროს ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან გრძელდება ხარბი მადის დემონსტრირება, ჯიპებზე შემოხტომა და ხალხის ხარჯზე რესტორნებში დუდუკების თანხლებით ქეიფი, თბილისის საკრებულო და მერია ფულს აი, ამაში ხარჯავს. გამომდინარე აქედან, იმის მოლოდინი, რომ ხელისუფლება რამეს შეცვლის, არის თავის მოტყუება. ვისაც მიაჩნია, რომ აუცილებელია, გაიწმინდოს სახელმწიფო აპარატი კორუმპირებული ჩინოვნიკებისგან და ქვეყანაში დამკვიდრდეს სოციალური სამართლიანობა, სწორედ ახლა უნდა აიმაღლოს ხმა. დღეს ხალხისა და ოპოზიციის ქუჩაში გამოსვლა ავტომატურად ნიშნავს დემოკრატიულ და სოციალურ რეფორმებს.



ჩვენ გვპირდებოდნენ ევროპის განმაცვიფრებელ დემოკრატიას, მაგრამ ხათუნა გოგორიშვილის კოდექსით ევროპას ვერ გავაკვირვებთ, იმიტომ რომ 9 წელი ევროპელები გოგორიშვილის კოდექსით უკვე იყვნენ გაკვირვებულები. ეს კოდექსი მორგებულია ერთპარტიულ მმართველობაზე. ახლა „ნაციონალები“ ხმას ველარ იღებენ, იმიტომ, რომ მათი დაწერილი კოდექსია, თუმცა პირად საუბრებში ისინი უკვე ამბობენ ამას და კარგი იქნება, თუ ხმამაღლაც იტყვიან. ეს არის ერთპიროვნულ, ავტორიტარულ მმართველობაზე მორგებული საარჩევნო კოდექსი, რომელიც ნიშნავს ძალაუფლების უზურპაციის გზით შენარჩუნებას. ჩვენი მთავარი ლოზუნგი უნდა იყოს სამართლიანი არჩევნები, რამაც უნდა უზრუნველყოს პოლიტიკური კონკურენცია, დაუსჯელობის ალაგმვა და ჩინოვნიკებს უნდა გავუჩინოთ განცდა, რომ სიხარბე ისჯება.

**— ხელისუფლებასთან დიალოგის გზას ბოლომდე იჭრით და მხოლოდ აქციების გზით აპირებთ მიზნის მიღწევას?**

– ამ ეტაპზე მხოლოდ ამ გზით ვხედავთ, ხელისუფლება ვაიძულოთ, რომ რეფორმები გაატაროს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხელისუფლებასთან დიალოგზე არ წავალთ, თვითონ არიან ჩაკეტილები. ჩვენთვის მთავარია, რომ შედეგი მივიღოთ, თუ როგორი იქნება აქციები პერმანენტული თუ ერთჯერადი, ეს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, ჩვენი თვითმიზანი არაა ქუჩაში დგომა.

**— ადგილობრივ არჩევნებზე „ნაციონალური მოძრაობა“ რომ არ დაფიქსირდეს კვლავ მეორე ძალად და მთავარ ოპოზიციად, აპირებთ თუ არა კოალიციის შექმნას პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიცია?**

– ოპოზიციის გაერთიანების აუცილებლობას ნამდვილად ვხედავ, თავსებადი ძალები უნდა გაერთიანდეს, შესაბამისად, პროგრამა მაქსიმუმია ერთიანი პროგრამით და ერთიანი კანდიდატით გამოსვლა, მინიმუმ – ერთმანეთს ხელი არ შევუშალოთ. გეტყვით, რომ ჩვენ თავსებადი ოპოზიციური ძალების გაერთიანებაზე უკვე ვმუშაობთ.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

## დირექტორების სერტიფიცირების პროცესის მეორე რაუნდი მარტში გაიმართება



განათლების მინისტრის, თამარ სანიკიძის განცხადებით, დირექტორების სერტიფიცირების პროცესის მეორე რაუნდი მარტში გაიმართება. მინისტრის განმარტებით, მეორე რაუნდში მონაწილეობის მიღება იმ დირექტორებსაც შეეძლებათ, ვინც აღნიშნული პროცესი წარმატებით ვერ გაიარა.

სერტიფიცირების პროცესი ორი ეტაპისგან, სერტიფიცირებისა და გასაუბრებისგან შედგება. მისივე თქმით, გასაუბრება დირექტორებთან სტრუქტურირებულად ჩატარდა, რაც ნიშნავს, რომ ყველა დირექტორს ერთსა და იმავე შეკითხვებს უსვამდნენ. დირექტორობის კანდიდატებს აფასებდა კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ განათლების სისტემის წარმომადგენლები, სპეციალისტები, მოწვეული ექსპერტები, ფსიქოლოგები.

„სერტიფიცირების ეტაპის გადალახვა-არგადალახვა დირექტორების სამუშაოზე დღეისთვის არ აისახება. როდესაც უკვე ჩატარდება კონკურსი კონკრეტული სკოლისთვის, აქ უკვე შესაძლებელია, ასეთი კადრები შეიცვალოს და ისინი შეცვალონ კონკურსის წესით დანიშნულმა დირექტორებმა“, – აღნიშნა სანიკიძემ.

მინისტრის თქმით, სერტიფიცირების პირველი რაუნდიდან გამომდინარე არ არსებობს საკმარისი კონტინგენტი, რათა დირექტორების კონკურსი სრულფასოვნად ჩატარდეს. აქედან გამომდინარე, სამინისტრო სერტიფიცირების მეორე რაუნდის გამართვას გეგმავს.

„დღეისთვის ჩვენ არ გვყავს საკმარისი კონტინგენტი, რათა დავიწყოთ უშუალოდ დირექტორების კონკურსი, ამიტომ ვგეგმავთ სერტიფიცირების კიდევ ერთი რაუნდის გამეორებას, ეს დაიწყება მარტისთვის და, სავარაუდოდ, დასრულდება აკადემიური წლის ბოლოს“, – განაცხადა თამარ სანიკიძემ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დუშეთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დააკავეს



საგამოძიებო სამსახურმა დუშეთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზურაბ ოტიაშვილი და შპს „ბასა + 2008“-ის დირექტორი, გიორგი ბასაძიშვილი დააკავა. ოტიაშვილი თაღლითობის, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და კანონით აკრძალული საჩუქრის მიღების ფაქტებზე დააკავეს, ხოლო ბასაძიშვილი – თაღლითობისა და ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტზე. გამოძიებით დადგინდა, რომ ოტიაშვილმა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში გადაწყვიტა შენიღბული ფორმით, ფიქციური აუქციონის ჩატარების მეშვეობით რეალურ ღირებულებაზე გაცილებით ნაკლები თანხის გადახდით თაღლითურად დაუფლებოდა სახელმწიფოს კუთვნილ ქ. დუშეთში მდებარე 920.8 კვ.მ ფართობის მქონე შენობა-ნაგებობასა და 839 კვ.მ ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. 2009 წლის 12 აგვისტოს ზურაბ ოტიაშვილმა ზემომითითებული, 70 821 ლარად ღირებული უძრავი ქონება ფიქციურად მოწყობილ აუქციონზე შეიძინა 10 000 ლარად, რაც შენიღბვის მიზნით გაფორმდა მის მეგობარზე.

გარდა ამისა, ზურაბ ოტიაშვილი მუშაობდა რა საბაჟო-გამშვები პუნქტი „ყაზბეგის“ უფროსის თანამდებობაზე, მის უფლებამოსილებაში შედიოდა ტრანზიტის საბაჟო რეჟიმით გამავალ ტვირთებზე კონტროლი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი არ ყოფილა რაიმე სახის შეზღუდვები თურქეთიდან ტრანზიტის საბაჟო რეჟიმით ტექსტილის ტვირთის მოძრაობაზე „ყაზბეგის“ გავლით, ოტიაშვილმა გადაამეტა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას და მისი დავალებით საბაჟო დეპარტამენტის სხვა თანამშრომლები არ ატარებდნენ თურქეთიდან ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ტრანზიტის საბაჟო რეჟიმით გადაადგილებულ ტექსტილის ნაწარმს, რითაც არსებითად ირღვეოდა მათი უფლებები.

გამოძიებით დადგინდა, ასევე, რომ ოტიაშვილმა, მუშაობდა რა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე, კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსის, დავით ბიგვავასგან საჩუქრად მიიღო ამ უკანასკნელის შვილის, ავთანდილ ბიგვავას სახელზე რეგისტრირებული 24 950 (ოცდაოთხი ათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარად ღირებული დუშეთის რაიონის სოფელ ჩანადირებში მდებარე 2 399 კვ.მ ფართობის მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ოტიაშვილის მითითებით ამ უკანასკნელის მძღოლთან ბადრი ყარსიმაშვილთან გაფორმდა ჩუქების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2009 წლის 3 ივლისს ბადრი ყარსიმაშვილს სახელზე დარეგისტრირებულ იქნა აღნიშნული მიწის ნაკვეთი.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ზურაბ ოტიაშვილმა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე ყოფნისას 2008-2009 წლებში გამგეობის სახელით გაუფორმა ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ თავისი ცოლისძმის, გიორგი ბასაძიშვილის ფირმას შპს „ბასა + 2008“-ს. ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას გიორგი ბასაძიშვილი ყალბი დოკუმენტების საფუძველზე თაღლითურად დაეუფლა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ დიდი ოდენობით ფულად თანხებს. (ინტერპრესნიუსი)

## მიზანდარი მის განთავისუფლებას საყდრისის თემას უკავშირებს



მარინე მიზანდარი თანამდებობიდან განთავისუფლებას კულტურულ მემკვიდრეობას, კერძოდ, საყდრისის თემას უკავშირებს.

„კულტურული მემკვიდრეობის თემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო, რამაც ძალიან გაამწვავა ბოლოს მდგომარეობა, ხოლო საყდრისის თემამ საგანგებოდ. იყო დიდი ლობი საწარმოს მხრიდან, იყო გარკვეული ზეწოლაც და ამდენად, ძირითადი უთანხმოების საგანი ის იყო, რომ ჩვენმა უწყებამ, რომელსაც პასუხისმგებლობა აქვს, თავისი დარგი დაიცვას, ვერ დაიცვა სათანადოდ და დღემდე ვერ იცავს", – განაცხადა მიზანდარმა.

მისივე თქმით, კულტურის სამინისტრომ ასევე ვერ მოახერხა სათანადოდ დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია საყდრისის შესახებ ისე, რომ მინისტრთა კაბინეტისთვის ცხადი ყოფილიყო, რამდენად მნიშვნელოვანია საყდრისის საკითხი.

„მე ვფიქრობ, ჩემი მოხსნის საკითხი დაძრა სწორედ საყდრისის თემამ, იმიტომ, რომ იქ იყო პრინციპული უთანხმოება. მე ვერ ვიტყვი, რომ მინისტრს არ ესმოდა ამ ძეგლის მნიშვნელობა, უბრალოდ, ჩვენი უთანხმოების მიზეზი იყო ის, რომ მინისტრმა სათანადოდ ვერ დააფიქსირა თავისი პოზიცია, ვერ მოახერხა ის, რომ მონიტორინგის ჯგუფი შესულიყო ამ ობიექტზე და ჩვენ გვცოდნოდა, რა ხდება დღეს იქ", – განაცხადა მიზანდარმა.

კულტურის მინისტრის ყოფილი მოადგილე აპირებს სასამართლოში გაასაჩივროს მისი გათავისუფლების შესახებ ბრძანება, რადგან მიიჩნევს, რომ ამ ბრძანებაში ბევრი ბუნდოვანი საკითხია. რაც შეეხება მომავალ საქმიანობას, მიზანდარმა აღნიშნა, რომ ჯერ არ გადაუწყვეტია, სად გააგრძელებს მუშაობას, თუმცა აღნიშნა, რომ კულტურის სფეროში დარჩება. (ინტერპრესნიუსი)

# რა კითხვებზე სთხოვს პასუხის გაცემას შაშკინი თავდაცვის სამინისტროს?



**თავდაცვისა და განათლების ყოფილმა მინისტრმა, დიმიტრი შაშკინმა განათლების სამინისტროს შემდეგ „ფეისბუკით" 10 კითხვა ამჯერად თავდაცვის სამინისტროს დაუსვა.**

1. რატომ არ გადადის ჯარი არანორმირებულ კვებაზე? ჯერ კიდევ 2013 წლის მარტში მინისტრმა განაცხადა ამის შესახებ;

2. სად არის ამერიკული ვერტმფრენები, რომელიც 2013 წელს უნდა ჩამოსულიყო?

3. სად არის ამერიკული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა „ჰავკ"-ი, რომელიც ასევე 2013 წელს უნდა ჩამოსულიყო?

4. რატომ გააჩერეთ ვარკეთილში სამხედრო ტრანსპორტის სერვისცენტრის მშენებლობა?

5. რატომ არ მიდის 7 ახალი კორპუსის მშენებლობა სამხედრო ქალაქში?

6. რატომ ბანკროტდება თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი სამკერვალო ფაბრიკა და უმუშევარი რჩება ასამდე ადამიანი?

7. რატომ არ იზრდება დაზღვევის პაკეტი, როგორც დაპირებული იყო?

8. რატომ არის გაჩერებული მუშაობა წვევამდელების ელექტრონულ ბაზაზე?

9. რატომ გაჩერდა თბილისის თავდაცვის წრის მშენებლობა? რა, რუსეთმა დაგვიბრუნა ტერიტორიები და კეთილი მეზობელი გახდა?

10. რატომ გაჩერდა ახალი არსენალის მშენებლობა?

**„ალია" დეტალებში გასარკვევად დიმიტრი შაშკინს დაუკავშირდა:**

**— ბატონო დიმა, ყველა თქვენს კითხვას ქვეტექსტი აქვს, ხომ ასეა? რის თქმა გინდათ ამ კითხვებით, რომ თქვენ უკეთ მუშაობდით, ვიდრე ახალი მინისტრი?**

– ამ კითხვების გაგზავნის მიზანია, რომ არსებობს ძალიან კარგი პროექტები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. მთავარია, რომ საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაცია ამ საკითხებთან დაკავშირებით. მაგალითად, 2012 წელს მარტში ან თებერვალში, პრეზიდენტ ობამასა და სააკაშვილს შორის მოხდა შეთანხმება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დაგვეხმარებოდა ჩვენი თავდაცვისუნარიანობის გაზრდაში. ერთ-ერთი კომპონენტი იყო ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებების შეძენა ჩვენი თავდაცვის სამინისტროსთვის. ეს არ წარმოადგენს საიდუმლოებას. დაახლოებით ორი წელი გავიდა. სამწუხაროდ, მოლაპარაკებები 2012 წლის არჩევნების შემდეგ არ გაგრძელებულა. მე, ბუნებრივია, მაქვს შეკითხვა, რატომ არ გაკეთდა ეს? ჩვენი ხელისუფლების შეცდომა იყო ის, რომ არ ვცემდით პასუხს ყველა შეკითხვას. არადა ეს შეკითხვები გროვდება საზოგადოებაში. მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერმა ხელისუფლებამ შეკითხვებს გასცეს პასუხი.

**— რის გაკეთებაც თქვენც შეგეძლოთ და ახლა ამაზე სხვას ედავებით, სპეკულაცია გამოდის...**

– რა თქმა უნდა, ყველაფრით შეიძლება სპეკულირება, მაგრამ იმ ქვეყნის უსაფრთხოება, სადაც ცხოვრობს ჩემი ოჯახი, სპეკულირების თემა ნამდვილად არ შეიძლება იყოს.

**— ფაბრიკის თემამდე რატომ დახვედით, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები ვერ დაინახეთ?**

– ფაბრიკა არის თავდაცვის სამინისტროსი. ის კერავს ტანსაცმელს ჩვენი ჯარისთვის. თქვენს გაზეთში არის „ნიუსი", სადაც ჩვენ ვხედავთ, რომ ჯავშანჟილეტების შეკერვას ვაპირებთ, მაგრამ გვაქვს პრეცედენტი, როდესაც ბანკროტდება ის ფაბრიკა, რომელმაც ეს ჟილეტები უნდა შეკეროს.

როცა ხელისუფლება შეიცვალა, ახალმა მინისტრმა თქვა, რომ მისი მთავარი ამოცანა არის ჯარისკაცი. იყო ორი თემა: ერთი ეხებოდა დაზღვევას, მეორე ეხებოდა კვებას. ჯარის არანორმირებულ კვებაზე გადასვლასთან დაკავშირებით საუბარი იყო ერთი წლის წინათ. ერთი წელი გავიდა და ჯარი ჯერ კიდევ არ არის გადასული არანორმირებულ კვებაზე. ამის ღია წყაროები არსებობს, თორემ საიდუმლო საკითხებს რომ ეხებოდეს თემა, 10 კი არა, 120 კითხვა მექნებოდა. მინისტრმა თქვა, რომ იქნება უკეთესი დაზღვევის პაკეტი. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რატომ შეჩერდა ეს პროცესი? ამ დაპირების გამო, მე ერთი წლის წინათ, შეგიძლიათ ნახოთ, მადლობაც კი გადავუხადე თავდაცვის სამინისტროს, რაც მე ვერ მოვასწარი, კარგია, რომ ახალმა მინისტრმა გააკეთოს-მეთქი. ჩასაფრებული კი არ ვარ, მაგრამ გავიდა ერთი წელი და როგორც იყო ყველაფერი, ისე დარჩა.

**„ალია" კომენტარისთვის თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, ლევან ჟორბენაძეს დაუკავშირდა:**

„ოფიციალურად თავდაცვის სამინისტროში არც შაშკინის მხრიდან, არც „რეფორმატორთა კლუბის" მხრიდან მომართვა კითხვებზე პასუხის მოთხოვნით, შემოსული არ არის, თუმცა თავდაცვის ყოფილ მინისტრს ძალიან კარგად უნდა ესმოდეს, რომ ამ კითხვებში ძალიან ბევრი ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოს შემცველია და ეს უნდა იცოდეს, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ იცის კიდეც. ბევრი კითხვა უბრალოდ უსაფუძვლოა, რადგან ბევრი მათგანი მოგვარებულია, როგორიცაა, მაგალითად, კვებისა და დაზღვევის საკითხი. მისი მინისტრობის დროს მისი დაზღვევა 120-ლარიანი იყო და ჯარისკაცის – 6-ლარიანი, ახლა კი გათანაბრებულია. ანუ უსაფუძვლო კითხვებია და შეიცავს მეტ რიტორიკას".

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

## „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის პროექტი" იწყება

საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის პროექტი" იწყება. სოფლის მეურნეობის მინისტრის შალვა ფიფიას განცხადებით:

„მეღვინეობა ის დარგია, სადაც სიძველესა და ტრადიციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამ მიზნით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ღვინის ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშავა „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის პროექტი", რაც ითვალისწინებს ქართული ვაზისა და ღვინის პოპულარიზაციას და იმ ძველი არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნანახი კულტურების მეცნიერულ კვლევას, რომელიც დაადასტურებს, რომ საქართველო ნამდვილად ღვინის სამშობლოა. ეს პროექტი ხელს შეუწყობს ვაზისა და ღვინის კულტურის განვითარებას, ვაზის წარმოშობის და ღვინის ისტორიის კვლევების წახალისებას და მიღებული შედეგების ქართული ღვინის შესახებ ცნობადობის გაზრდის მიზნით გამოყენებას", – განაცხადა ფიფიამ.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, ლევან დავითაშვილის თქმით კი, ვაზისა და ღვინის პოპულარიზაციის კუთხით დაგეგმილია სხვადასხვა სახის კვლევების ხელშეწყობა.

„უფრო კონკრეტულად, განხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სხვადასხვა ისტორიული ეპოქების ვაზის ნაშთების ანალიზი, არქეოლოგიური მასალის ბიოქიმიური ტესტირება, ასევე განხორციელდება ქვეყნის ნიადაგურ-კლიმატური და გენეტიკური რესურსების შესწავლა-დახასიათება, ასევე მოხდება სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებით კვლევების ჩატარება", – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

მისივე განმარტებით, ღვინის ეროვნული სააგენტო აღნიშნული კვლევების ჩატარების პროცესში როგორც საქართველოს სამეცნიერო ინსტიტუტებსა და ქართველ მკვლევართა, ასევე ცნობილ უცხოურ ინსტიტუტებთან და მეცნიერებთან ითანამშრომლებს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კეზერაშვილს შესაძლოა, მონაკოში 7 600 000 დოლარი დაუყადაღონ



არ არის გამორიცხული, დავით კეზერაშვილს მონაკოს ერთ-ერთ ბანკში 7 600 000 დოლარის ოდენობის თანხა დაუყადაღონ. დაყადაღების შესახებ შუამდგომლობა საქალაქო სასამართლოში, პროკურორმა მერაბ ჯერენაშვილმა დააყენა. კონტრაბანდული სპირტის საქმეზე ბრალდების განხილვისას პროკურორმა აღნიშნა, რომ ახლახან აღმოაჩინეს მონაკოს ერთ-ერთ ბანკში კეზერაშვილის მიერ განთავსებული თანხა. ბრალდების მხარე ეჭვობს, რომ აღნიშნული თანხა დაკავშირებულია სწორედ იმ ბრალდებასთან, რომელსაც კეზერაშვილს კონტრაბანდული სპირტის საქმეზე უყენებენ.

კეზერაშვილის ადვოკატის, შოთა მინდელის განცხადებით კი, აღნიშნულ თანხას კავშირი არ აქვს ბრალდების პერიოდთან. ადვოკატის განმარტებით, ბრალდების ეპიზოდი ეხება 2007-2011 წლებს, ხოლო თანხა, რომლის დაყადაღებასაც პროკურორი ითხოვს, მონაკოს ბანკში განთავსებულია 2012 წელს.

დაყადაღდება თუ არა მონაკოს ბანკში არსებული 7 600 000 დოლარი, აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილებას საქალაქო სასამართლო შემდგომ პროცესზე მიიღებს. შემდეგი პროცესი 24 თებერვლისთვის არის ჩანიშნული. (ინტერპრესნიუსი)

## დარიალის ხეობაში ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა იწყება



ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის განცხადებით, დარიალის ხეობაში ახალი 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა იწყება. მინისტრის ინფორმაციით, კონკრეტული პროექტი ჯერ არ არსებობს, თუმცა თუ სამომავლოდ იქნება რუსეთთან 500-კილოვოლტიანი ხაზით შეერთების პერსპექტივა, ეს საქართველოს ელექტროსისტემისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

„დღეს ჩვენ როდესაც ვყიდულობთ ელექტროენერგიას რუსეთისგან, მას ვიღებთ კავკასიონის 500-იანი ელექტროგადამცემი ხაზით, რომელზეც ხდება ავარიები და ხაზის აღდგენა გარკვეულ დროს ითხოვს, რადგან ის მაღალმთიან სვანეთში მდებარეობს. თუ მოხდება შეთანხმება რუსეთთან, რომ მათაც ააშენონ 500-კილოვოლტიანი გადამცემი ხაზი და მოხდება დაერთება საქართველოსთან, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ქვეყნის ენერგოსისტემისთვის, ჩვენ შევძლებთ ელექტროენერგიის ტრანზიტულ გატარებას რუსეთიდან თურქეთის მიმართულებით და თურქეთის გავლით ევროპაში, რაც კიდევ უფრო მეტ შემოსავალს მოუტანს ჩვენს ეკონომიკას", – განაცხადა კალაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ტარიფების შესამცირებლად მაქსიმუმი გაკეთდაო

ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის განცხადებით, ტარიფების შემცირების კუთხით ამ ეტაპზე შესაძლებლობების მაქსიმუმი გაკეთდა. მისი თქმით, თანამდებობაზე დანიშვნისთანავე დაიწყო მუშაობა ტარიფების შემცირებაზე და ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ არ დაზარალებულიყვნენ ელექტროენერგიის დისტრიბუტორი კომპანიები და ამავდროულად წინასაარჩევნოდ გაცემული დაპირება შესრულებულიყო.

„ელექტროენერგიაზე მოვახერხეთ ტარიფის – 4 თეთრით, ხოლო გაზზე 5 თეთრით შემცირება. ამ ეტაპზე არანაირი რესურსი არ არსებობს, რომ მოხდეს ტარიფების კიდევ შემცირება, თუმცა თუ სამომავლოდ გამოინახება რაიმე მარჟა ტარიფების შესამცირებლად, საზოგადოება ამის შესახებ შეიტყობს", – აღნიშნა კალაძემ. (ინტერპრესნიუსი)

# ინტერვიუ ევროსაბჭოს გენერალურ მდივანთან



ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ტორბიორნ იაგლანდი ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით საქართველოში იმყოფებოდა და ოფიციალურად გამოაცხადა საქართველოსთვის ორწლიანი სამოქმედო გეგმის დაწყების შესახებ, რომელიც ადამიანის უფლებებისა დაცვისა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობის მიზნით ქვეყანაში სხვადასხვა პროექტის განხორციელებას ითვალისწინებს.

**როგორი სიტუაციაა ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვისა და მედიის თავისუფლების კუთხით? ასევე, რას ფიქრობს გენერალური მდივანი საქართველოს ხელისუფლების მისწრაფებაზე ევროპასთან ინტეგრაციის თვალსაზრისით?**

**— ბატონო გენერალურო მდივანო, თქვენ შეხვდით საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნებს. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ისინი პერმანენტულად საუბრობენ ევროინტეგრაციული კურსის უცვლელობაზე, თუმცა მაინტერესებს თქვენი შთაბეჭდილება, თუნდაც ამ შეხვედრებიდან გამომდინარე, არიან თუ არა ისინი გულწრფელები და გამორიცხავთ თუ არა იმის შესაძლებლობას, რომ ბოლო მომენტში მათ გადაიფიქრონ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, ისევე როგორც ეს იანუკოვიჩმა გააკეთა უკრაინაში?**

– მე ვფიქრობ, რომ საქართველო ძალიან სერიოზულად უდგება ევროპული ინტეგრაციის საკითხს. მოხარული ვარ, რადგან ვხედავ, რომ თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა გაერთიანებულია ამ თემის ირგვლივ და არსებობს თანხმობა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რომ თქვენ არ გაქვთ დისპუტი ამ ფუნდამენტურ საკითხთან დაკავშირებით. მე არ ვიტყოდი იმას, რომ საქართველოში შესაძლებელია იგივე სცენარის განვითარება, რასაც ადგილი ჰქონდა უკრაინაში. აქ ორი მთავარი განსხვავება არსებობს: პირველი, საქართველომ განახორციელა გარკვეული რეფორმები, გაამყარა დემოკრატია და კანონის უზენაესობა. მეორე განსხვავება არის აზრთა ძლიერი ერთობა ევროპის ირგვლივ, რაც საქართველოში არსებობს პოლიტიკურ ძალებს შორის.

უკრაინაში ეს აზრი გაყოფილია სხვადასხვა მიზეზიდან გამომდინარე – როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილი აღმოსავლეთისკენ მიიწევს ეკონომიკური მიზეზების გამო, აღმოსავლეთ ნაწილსა და რუსეთს შორის არსებობს გარკვეული კავშირები. ქვეყნის დასავლეთი ნაწილი კი დასავლეთისკენ იყურება. ასე რომ, ეს არის ქვეყანა, სადაც აზრები ბევრად უფრო გაყოფილია, ამიტომ მე არ ვფიქრობ, რომ ჩვენ შედარებები უნდა გავაკეთოთ უკრაინასა და საქართველოს შორის.

**— რა სახის საფრთხეებს უნდა ელოდოს საქართველო რუსეთისგან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე? ყველა ხედავს პრობლემებს, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საოკუპაციო ხაზებთან არსებობს, საუბარია მავთულხლართებზე. ასევე, რუსეთმა აფხაზეთის მხრიდან საქართველოს საზღვარი 11 კილომეტრით გადმოსწია მის სასარგებლოდ. ამ ფონზე ადეკვატურია თუ არა საქართველოს ხელისუფლების რიტორიკა რუსეთთან ურთიერთობების დათბობის თაობაზე?**

– სიმართლე გითხრათ, მე არ მაქვს არავითარი კომენტარი ამ საკითხზე. ჩვენი მანდატი არ არის ასეთი ღრმად პოლიტიკური. ჩვენ ვაკვირდებით ადამიანის უფლებებსა და კანონის უზენაესობას. ალბათ, ეს საქართველოს ხელისუფლებამ უნდა განმარტოს.

**— ვისაუბროთ ადამიანის უფლებებზე. ახლა მე მინდა გკითხოთ იმ პრობლემების შესახებ, რაც საქართველოში მედიის თავისუფლების კუთხით არსებობს. ხართ თუ არა საქმის კურსში იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რაც საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში განვითარდა: პარლამენტმა ვერ დაამტკიცა სრულად სამეურვეო საბჭო იმ წევრებისგან, რომელიც შესაბამისმა შესარჩევმა კომისიამ შესთავაზა. ამის გამო გაჩნდა ეჭვები — ხომ არ ცდილობს მმართველი გუნდი მაუწყებელზე გავლენის მოპოვებას?**

– მე წამოვწიე ეს საკითხი, ჩემი შეხვედრების დროს და ახსნა-განმარტება, რომელიც მოვისმინე, არის ის, რომ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მოახერხა ბორდის წევრების დანიშვნა, ანუ ეს არ იყო რაღაც პოლიტიკური მცდელობა საზოგადოებრივ მაუწყებელზე კონტროლის მოპოვების. მე ამ ახსნა-განმარტებას საკმაოდ სარწმუნოდ მივიჩნევ, რადგან კოალიციაში მართლაც რთულია ხოლმე კონკრეტული პერსონების დანიშვნაზე შეთანხმება, ეს მე ვიცი იქიდან გამომდინარე, რომ ჩემს ქვეყანაშიც (ნორვეგია) არსებობს კოალიციები და არც იქ არის იოლი პერსონების დანიშვნაზე შეთანხმება.

**— ეს პროცესი ახლიდან იწყება საქართველოში და რა შეიძლება იყოს თქვენი რეკომენდაცია?**

– ჩემი რეკომენდაცია არის ის, რომ ისინი უნდა შეთანხმდნენ და დანიშნონ საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდი, მაგრამ არავის შეუძლია თქვას, რომ ამის უკან რაღაც დგას და აქ სახელმწიფოს მაუწყებლის კონტროლის მცდელობას აქვს ადგილი.

**— როგორ შეაფასებდით საქართველოში ამჟამად არსებულ სიტუაციას ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, განსაკუთრებით ეს ეხება უმცირესობების პრობლემებს, რაც, როგორც ვნახეთ, საქართველოს სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მთავარი საკითხია.**

– ჩვენ ძალიან შეშფოთებულები ვართ... ექსტრემალური რიტორიკა, სიძულვილის ენა, თავდასხმები უმცირესობებისა და განსაკუთრებით სექსუალური უმცირესობების, „ლგბტ“ ადამიანების წინააღმდეგ. ჩვენ ეს ვნახეთ და ეს ძალიან სამწუხარო ტენდენციაა, თუმცა არა მხოლოდ აქ, საქართველოში, არამედ ევროპაშიც. ეს ერთ-ერთი პირველი საკითხია, რომელიც ჩვენ აქ დავაყენეთ, ეს იმ სამოქმედო გეგმის ნაწილიცაა, რომელიც საქართველოში დაიწყო.

**— რამდენიმე დღის წინ საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა თვითმმართველობის კოდექსი, თუმცა მანამდე ექსპერტებისა და „ენჯეოების“ ნაწილმა გაავრცელა კრიტიკული განცხადებები ამ რეფორმის შედეგთან დაკავშირებით. მათი აზრით, ცვლილებები, რომელიც კოდექსში შევიდა საპარლამენტო განხილვების დროს, უკანგადადგმული ნაბიჯია და ვერ უზრუნველყოფს რეალურ და ეფექტურ თვითმმართველობას. როგორია თქვენი რეკომენდაცია ამ რეფორმის თაობაზე?**

– მე მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ეს კანონი უკვე მიღებულია და საქართველოსა და ევროპის საბჭოს ექსპერტებს შორის კონსულტაციები არსებობდა. რაც ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია, არის ის, რომ მომავალი არჩევნები იქნება სამართლიანი და თავისუფალი, მოხდება დაკვირვება ამ არჩევნებზე და ეს პროცესი დაიწყებს უფრო მეტ, რეალურ დეცენტრალიზაციას... ეს არის ის განზრახვა, რომელიც მე მოვისმინე რესპუბლიკის პრეზიდენტისგან. მე შემიძლია გითხრათ, რომ პროცესის კარგ განვითარებას აქვს ადგილი, რა თქმა უნდა, შეიძლება იყოს სისუსტეებიც, მაგრამ კარგია, რომ პროცესი დაიწყო. (ნეტგაზეთი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ექსტერნის მსურველთა რეგისტრაცია 14-დან 21 თებერვლამდე ჩატარდება




საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, ექსტერნატის ფორმით დაძლევის მსურველთა რეგისტრაციის ვადა 2014 წლის 14 თებერვლიდან 2014 წლის 21 თებერვლის ჩათვლით განისაზღვრა. ექსტერნატის ფორმით გამოცდების ჩატარების ვადად კი 2014 წლის 6 მარტიდან 2014 წლის 21 მარტის ჩათვლით პერიოდი.

„დამატებით გაცნობებთ, რომ პირს უფლება აქვს, ექსტერნატის ფორმით ჩააბაროს შესაბამისი გამოცდა თუ მისი ასაკი შეესაბამება ან აღემატება ექსტერნატის ფორმით დასაძლევი კლასის მოსწავლეთა ასაკობრივ ჯგუფს და მას დაძლეული აქვს წინმსწრები კლასის/სემესტრის საგანმანათლებლო პროგრამა.

ექსტერნატის ფორმით განათლების მიღებაზე სრულწლოვანი დაინტერესებული პირი ან არასრულწლოვანი დაინტერესებული პირის კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია, სათანადო საბუთებთან ერთად, ექსტერნად რეგისტრაციის თაობაზე განცხადება რესურსცენტრში წარადგინოს შემდეგი წესის დაცვით:

ა) თუ პირი, რომელსაც სურს ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღება, სწავლობს სკოლაში – განცხადება შეიტანება იმ რესურსცენტრში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარეობს შესაბამისი სკოლა; ბ) თუ პირი არ სწავლობს სკოლაში – განცხადება შეიტანება ნებისმიერ რესურსცენტრში, პირის სურვილის შესაბამისად.

ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების დაძლევის მიზნით რესურსცენტრს უნდა წარედგინოს: ა) ექსტერნატის ფორმით განათლების მიღებაზე სრულწლოვანი დაინტერესებული პირის ან არასრულწლოვანი დაინტერესებული პირის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელშიც მიეთითება: ა.ა) ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონის ნომერი); ა.ბ) ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგანი/საგნები, რომელთა ექსტერნატის ფორმით დაძლევა სურს პირს; ა.გ) ენა, რომელზეც ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველს სურს ექსტერნატის გამოცდის ჩაბარება (ქართული, რუსული, აზერბაიჯანული, სომხური); ა.დ) უცხო ენა/ენები, რომელშიც ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველს უნდა ჩაუტარდეს ექსტერნატის გამოცდა, ასეთის საჭიროების შემთხვევაში; ა.ე) ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგანი/საგნები, რომელთა დადებითი შედეგების გამოყენება სურს ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების დაძლევის მსურველს; ა.ვ) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არჩევითი საგანი/საგნები, რომლის ჩაბარებაც სურს ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების დაძლევის მსურველს; ბ) ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; გ) ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაზე რეგისტრაციის შემთხვევაში, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ ზოგადი განათლების იმ კლასის/სემესტრის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ათვისებას, რომელიც წინ უსწრებს ექსტერნატის ფორმით დასაძლევ კლასს/სემესტრს. იმ შემთხვევაში, თუ პირმა განათლება საზღვარგარეთ მიიღო, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტი აღიარებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაზე რეგისტრაციის შემთხვევაში, სკოლის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ პირმა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა უნდა დაძლიოს ექსტერნატის ფორმით. ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა ტარდება წერითი ფორმით, ტესტირების გზით და მას ატარებს ის სკოლა, რომელშიც სწავლობს მოსწავლე ან პირს სურს, რომ გააგრძელოს სწავლა.

მე-12 კლასში შემავალი საგნის/საგნების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, ინგლისური ენა, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება) ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა ტარდება ცენტრალიზებულად, ელექტრონული ფორმით. პირი, რომელიც ექსტერნატის ფორმით წარმატებით დაძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მიღწევის დონეს, ვალდებულია, სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად დარეგისტრირდეს და წარმატებით ჩააბაროს სკოლის გამოსაშვები გამოცდები. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ პირზე, რომელმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის კლასის/კლასების, ან საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამები წარჩინებით დაძლია ექსტერნატის ფორმით, ოქროსა და ვერცხლის მედალოსნის ატესტატი არ გაიცემა“, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## ზუმბაძე დაუმთავრებელი კორპუსებისთვის თანხებს ითხოვს



საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – თბილისელების" თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძე თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელ სევდია უგრეხელიძეს თბილისში დაუმთავრებელი საცხოვრებელი კორპუსების დასრულებისთვის ბიუჯეტში სახსრების გათვალისწინებას სთხოვს.

ზუმბაძის განცხადებით, ფრაქციამ მერის მოვალეობის შემსრულებელს მიმართა, ასევე გათვალისწინებული იქნას სახელმწიფოს შიდა ვალად აღიარებული იმ კოოპერატიული მშენებლობის დასრულებაც, რომელიც 2005 წელს მერიას ბიუჯეტში ჰქონდა გათვალისწინებული და არ შეუსრულებია.

ზუმბაძის თქმით, ამ მიზნისთვის ამ ეტაპზე საჭირო იქნება დაახლოებით 10 მილიონი ლარის გამოყოფა.

„იმის გათვალისწინებით, რომ დღევანდელი მდგომარეობით შეზღუდული რესურსი გაგვაჩნია და საბინაო პრობლემასთან დაკავშირებით არც ერთიანი პოლიტიკაა ჩამოყალიბებული, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ამ სერიოზული პრობლემის დაძლევის მიმართულებით პროცესის დაწყებას როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალური ხელისუფლების დონეზე", – აღნიშნა ზუმბაძემ. მისივე თქმით, საჭიროა ქვეყანაში დაიწყოს თანმიმდევრული პოლიტიკა უბინაო მოქალაქეებისათვის სოციალურ საცხოვრისზე ხელმისაწვდომობისა და ნორმალური პირობებით უზრუნველყოფისთვის. ამისთვის საკრებულოს დეპუტატი მიიჩნევს, რომ უნდა დაიწყოს შესაბამის კონცეფციაზე მუშაობა და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. (ინტერპრესნიუსი)



# კულუარები

# „რუსთავი 2"-ში სიტუაცია იძაბება?

## რა ხდება ტელეკომპანიის კულუარებში?

წყაროს ინფორმაციით, იქ ორი საპირისპირო ჯგუფი ყალიბდება. უკვე გადაწყვეტილია „საზოგადოებრივი მაუწყებლიდან" გაშვებული ეკა კვესიტაძის მიყვანა ამ არხზე, რაც თანამშრომლების ერთ ნაწილში გაღიზიანებას იწვევს. ისინი ამბობენ, თუ კვესიტაძე „რუსთავი 2"-ში დაიწყებს მუშაობას, გამოდის, ამ არხს მთლიანად „ნაციონალური მოძრაობა" აკონტროლებსო. მე არ ვიცი, ვის ეპარება ეჭვი იმაში, რომ „რუსთავი 2"-ს ირმა ნადირაშვილი, მიხეილ მაჭავარიანი და გიგი უგულავა აკონტროლებენ და ლამისაა, სიუჟეტებსაც ისინი წერენ, მაგრამ როგორც „ალიას" წყარო უყვება, იქ არის ერთი ჯგუფი, რომელიც აცნობიერებს, რომ მიხეილ სააკაშვილის დრო წავიდა და ცდილობს, მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს. ერთ მხარეს არის ნიკა გვარამია თავისი ხალხით, რომელსაც, რატომღაც პასუხს არ სთხოვენ, რაც გენპროკურორის მოადგილეობის პერიოდში ჩაიდინა (ბადრი პატარკაციშვილთან დაკავშირებული ვიდეოფირების ფალსიფიკაციას ვგულისხმობ), მეორე მხარეს არიან უკმაყოფილოები, რომლებიც ხელფასის გამო ვერ ტოვებენ სამსახურს, მაგრამ სინდისი აწუხებთ.

თავად „გავარვარებული" „ნაციონალი", ეკა კვესიტაძე ადასტურებს, რომ ის მართლაც აწარმოებს მოლაპარაკებას არხის ხელმძღვანელობასთან, ხოლო ნიკა გვარამია ამბობს, თურმე ყველა შეიძლება ვიხილოთ „რუსთავი 2"-ზე, ვინც ფასეულია. სხვა დანარჩენი კომერციული საიდუმლოება ყოფილა და ვერ გვეტყვის. მისი აზრით, ეს კონკურენციაა. გვარამიას თუ ჰგონია, რომ გაუმჭვირვალე „კოლბაში" ზის და ვერავინ ვერაფერს იგებს, ძალიან ცდება: ამ ეტაპზე „ფასეულ" კვესიტაძეს სთავაზობენ, დავით კიკალიშვილის გადაცემა „პოსტსკრიპტუმში" პოლიტიკურ ბლოკს გაუძღვეს და შემდგომში არ არის გამორიცხული, კიკალიშვილი საერთოდ ამოაგდონ „სასტავიდან". სხვათა შორის, კიკალიშვილს არხის დატოვების შანსი რამდენიმეჯერ ჰქონდა და ერთი პერიოდი გადაცემის დახურვის საკითხიც იდგა დღის წესრიგში, მაგრამ სტაჟიანმა ჟურნალისტმა მაინც მოახერხა გამოძრომა.

როდესაც ინგა გრიგოლია „ტვ 3"-დან „იმედში" გადავიდა, თავისი პროდიუსერის, ნოდარ მელაძის წაყვანაც უნდოდა, მაგრამ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახმა თავი გაიგიჟა, ეგ ცანცარა „ნაციონალი" თვალით არ დაგვანახოთო, მაგრამ „ფასეულ" ადამიანებს ყოველთვის აქვთ ბედი, მას ახლა „რუსთავი 2"-ზე მოუწევს პროდიუსერობა. როგორც უკვე გითხარით, კვესიტაძე-მელაძისა და შემდგომში, შესაძლოა, დავით პაიჭაძის „მოჯდომა" ამ არხზე თანამშრომლების ერთი ნაწილის უკმაყოფილებას იწვევს. ამ ეტაპზე ვერ გეტყვით, გაიზრდება თუ არა ეს უკმაყოფილება პროტესტში, გაბედავს თუ არა ზოგიერთი კულუარებიდან საამკარაოზე გამოსვლას, მაგრამ ნიკა გვარამიასა და „მამალი" „ნაციონალების" თვითნებობა რომ ბევრს უკვე ყელში ამოუვიდა, ეს ცხადია.

ბოლო პრესკონფერენციაზე ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტს პირდაპირ უთხრა, შენს ადგილზე რომ ვიყო, მაგ ტელეარხზე არ ვიმუშავებდიო. ამის შემდეგ ბევრმა ჩათვალა, რომ ეს იყო ერთგვარი სიგნალი მომავალი თავდასხმებისა და ამიტომაც იჭერენ თადარიგს. საზოგადოებაში ჩნდება მოსაზრებები, რომ „რუსთავი 2" უკვე ძალიან დიდ საშიშროებას წარმოადგენს მიხეილ სააკაშვილის ხელში და არ არის გამორიცხული, მალე ის ყოფილ მფლობელებს დაუბრუნდეთ. ყოველ შემთხვევაში, ამაზე საუბრები საპარლამენტო კულუარებშიც მიდის.

ბუნებრივია, „ნაციონალური მოძრაობისთვის" ასეთი ტელევიზიის დაკარგვა სრული კრახი იქნება, მაგრამ ეს საკითხი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ არ გადაწყდება, რადგან „ნადირაშვილები" და „წიკლაურები" „ქართულ ოცნებას" ქვას ქვაზე დაუდუღებენ და დემოკრატიულ ევროპასაც გააგებინებენ, „რუსეთუმე" ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკური ნიშნით გვებრძვის, თავისუფალ მედიას ახშობს, რათა არჩევნებში ხელი შეგვიშალოსო.

საზოგადოებაში ასევე ტრიალებს აზრი, რომ „რუსთავი 2"-ს უნდა მოეთხოვოს ის 1 მილიონ 200 ათასი ლარი, რომელიც სააკაშვილმა 2004 წელს ჩამოაწერა და სხვა ტელევიზიების ხარჯზე სახელმწიფო დავალიანება გაანულა. მაშინ ამ არხს ჯერ კიდევ ეროსი კიწმარიშვილი ხელმძღვანელობდა, რომელიც ცალკე ზურაბ ჟვანიასგან იღებდა ფულს, ცალკე – ასლან აბაშიძისგან. ბოლოს რომელმაც მეტი გადაიხადა, ერასტიც იქით გადაიხარა.



პოლიტიკურ წრეებში იმაზეც ლაპარაკობენ, რომ, თუ „რუსთავი 2"-ს არ გადასცემენ ნამდვილ პატრონებს, სააკაშვილის ხროვა ცოდვის კალოს დაატრიალებს საქართველოში და ამისი ხელშემწყობი სწორედ ეს არხი იქნება (ვინ იცის, იქნებ კიწმარიშვილმა კიდევ უფრო უარესები გააკეთოს, არ დაგავიწყდეთ, მას 2003 წლის მოვლენების კარგი გამოცდილება აქვს).

სააკაშვილი ცრუობს, თავს იკატუნებს, როცა ამბობს, თავი დამანებეთ, პოლიტიკაში აღარ ვერევიო, თორემ ის სინამდვილეში უკან მობრუნებაზე ოცნებობს. მას ამ ეტაპზე აღარ აწყობს ვანო მერაბიშვილისა და ბაჩო ახალაიას დაცვა და მეტიც, ფიქრობს, „ნაცმოძრაობის" დიდი ნაწილიც მოიშოროს გიორგი ვაშაძის თამადობით. სხვათა შორის, მას მიხეილ მაჭავარიანმა და ერთი-ორმა ადამიანმა უკვე გული გაუწყალეს ამერიკაში რეკვით. გარეგნულად ისე ჩანს, თითქოს სააკაშვილი თბილისში აღარავის ეკონტაქტება, მაგრამ ეს ასე არ არის, ძველი „ნაციონალური" გვარდია მის გარეშე ერთ ნაბიჯსაც ვერ დგამს.

სააკაშვილი მოთმინებით ელოდება, როგორ განვითარდება მოვლენები ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. თუ „ნაცმოძრაობამ" „რესპუბლიკელებთან" გარიგებით ხმების მნიშვნელოვანი ნაწილის აღება შეძლო და თბილისის საკრებულოშიც გაიყვანა თავისი ხალხი, მაშინ უფრო გაუიოლდება პროვოკაციების მოწყობა, თუ არა და მაინც აპირებს რევანშის აღებას. აი, სწორედ ამ რევანშისთვის სჭირდება სააკაშვილს „რუსთავი 2", ხოლო შემდეგ სხვა ტელეარხების მოსყიდვა. ტყუილად არ მიანიშნა რამდენიმე დღის წინ ირაკლი ღარიბაშვილმა, რომ დღეს ქართული ტელევიზიების უმეტესი ნაწილი „ნაციონალების" დაკვეთას ასრულებს. ბუნებრივია, სააკაშვილის ლამაზი თვალებისთვის ამას არავინ არ გააკეთებს, „ნაციონალებმა" კარგად იციან, ვინ როგორ გაააქტიურონ სათავისოდ.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პროკურატურა გამგებლისა და მისი მოადგილის დაკავებაზე განცხადებას ავრცელებს



მთავარი პროკურატურა ხონის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და მისი მოადგილის დაკავების მიზეზს განმარტავს. საგამოძიებო უწყება ზურაბ ჯიბუხაიასა და გამგებლის მოადგილე ბესარიონ ჭელიძეს სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით ქონების გაფლანგვაში, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და სამსახურებრივ სიყალბეში ადანაშაულებს.

პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგენილია, რომ 2010 წლის იანვარში, ხონის მუნიციპალიტეტის სატყეო უბანში, ხე-ტყის უკანონოდ ჭრისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა ნიკოლოზ კირთაძე, ხოლო სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისთვის სატყეო უბნის რეინჯერი – მერაბ ლიპარიძე, რომლებსაც გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაეკისრათ.

„ნიკოლოზ კირთაძეს სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჩამოერთვა და სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცა უკანონოდ მოჭრილი – 69,417 კუბ/მ ხე-ტყე.

2010 წლის 26 ივლისს, ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ბრძანებით, ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობას უსასყიდლოდ გადაეცა ამავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს უკანონოდ მოჭრილი და სახელმწიფო საკუთრებაში მოქცეული 28 884.45 ლარის ღირებულების 213,662 კუბ/მ სამასალე და საშეშე მერქანი, მათ შორის უშუალოდ ნიკოლოზ კირთაძისთვის ჩამორთმეული ხე-ტყე. საკრებულოს გადაწყვეტილებით, მერქანი უსასყიდლოდ უნდა გადასცემოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ სტიქიის შედეგად დაზარალებულ, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ, მრავალშვილიან და ეკონომიურად უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს. ამის მიუხედავად, ზურაბ ჯიბუხაიამ ბესარიონ ჭელიძესთან წინასწარი შეთანხმებით, ამავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხე-ტყის უკანონოდ ჭრისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ ნიკოლოზ კირთაძისთვის მატერიალური სარგებლისა და უპირატესობის მინიჭების მიზნით, დანაშაულებრივი სქემა შეიმუშავა. სქემის მიხედვით, შეჭირვებული მოსახლეობის ნაცვლად, აღნიშნული მერქანი გადაეცა ამავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ხის გადამამუშავებელ საამქროებს, რომელთა ხელმძღვანელებმა მიღებული მერქნის საბაზრო ღირებულების თანხა უშუალოდ გადასცეს კირთაძეს. დანაშაულის შენიღბვისა და კვალის დაფარვის მიზნით, თითქოსდა მერქნის გაჭირვებულ მოსახლეობაზე დარიგების შესახებ შედგა 19 ყალბი მიღება-ჩაბარების აქტი. ჯიბუხაიასა და ჭელიძის ზემოაღნიშნული მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გაიფლანგა ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული 12 580,69 ლარის ღირებულების ქონება", – ნათქვამია განცხადებაში.

საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მესამე ნაწილით, 332-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 341-ე მუხლებით, რაც სასჯელის სახით 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. (ინტერპრესნიუსი)

# ექსკლუზივი

# ხინკლის ჭამაც საშიში გახდა?

## რა აღმოაჩინა კლიენტმა საფირმო ხინკალში?

**როგორ ხასიათზე დადგებით, როცა სტუმრებს მოიწვევთ, ხინკალს ერბოში ააშიშხინებთ და ერთ-ერთი სტუმარი ჩაკბეჩილი ხინკლიდან ამოიღებს... რას ამოიღებს, ამას რუსთაველი მოქალაქე, მამუკა მაისურაძე მოგიყვებათ:**

– ხუთშაბათს, 7 თებერვალს სტუმრები იყვნენ ჩემთან სახლში. ხინკალი სახლში მოვატანინე, ფირმა „მადაგონს“ აქვს ასეთი სერვისი. ეს ცნობილი ფირმაა ჩვენთან, აქვს რესტორნების ქსელი, მისი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი არის იურა ბედენეიშვილი, რუსთაველი კაცი. დიდი ხანია, მას აქვს ეს „მადაგონი“. დილით შევუკვეთე 30 ხინკალი და ხაჭაპური და საღამოს, სტუმრები რომ მოვიდნენ, ეს ხინკალი კარგად გავაცხელეთ, გამოვიტანეთ და ერთ-ერთმა გოგომ, 21 წლის ჩემმა ნათესავმა ჩაკბიჩა ხინკალი და ამოაყოლა აი, რა.

— **კბილი?**

– შტიფტიანი, ხრახნიანი კბილი, რომელსაც საკმაოდ წამახული წვერი აქვს. ის ხინკალიც შენახული მაქვს. ამის შემდეგ დავრეკე ამ „მადაგონის“ ნომერზე, მოვიდა მენეჯერი, თუ არ ვიცი, ვინ იყო, დახედა ამას, გადაურეკა უფროსს და უთხრა, მართლა კბილიაო. იქიდან რა უთხრეს, არ ვიცი და ამან ლაპარაკი რომ დაამთავრა, შემომთავაზა, რაც გადახდილი გაქვს, იმას აგინაზღაურებთო. ამაზე ვთქვი კატეგორიული უარი. მოვითხოვე, შემხვდეს თქვენი უფროსი-მეთქი. ეს ბედენეიშვილი არ შემხვდებოდა, გასაგებია, მაგრამ ვინმე ხელმძღვანელი მინდოდა, მენახა. ხვალ შეგხვდებაო და ველოდები (ეცინება).

— **ამ თქვენი სტუმრის კბილი ნამდვილად არ იყო?**

– არა, როგორ გეკადრებათ, 21 წლის ბავშვია, იმას ყველა კბილი ადგილზე აქვს. ხუთშაბათიდან რამდენი დრო გავიდა? კაცი არ შემხმიანებია. მანამდე კიდევ დავურეკე, შემხვდით-მეთქი, კაცო, რა მოხდა? და სიჩუმეა. ერთადერთი იმ ვიღაც უფროსმა, აუნაზღაურეთო და ესაა მათი ბოლო პასუხი.

— **და საიდან მოხვდა ადამიანის კბილი ხინკალში, ამით არ დაინტერესდა?**

– არა... ჩემი აზრით კი, რესტორანში ვიღაცამ ჭამა ხინკალი, ეს კბილი შიგნით დარჩა, მერე ამ ნაჭამი ხინკლიდან რაც დარჩა, ის ფარში ისევ უკან ჩაატრიალეს და ისევ მოახვიეს ხინკალი.

— **მოხარშული ფარშის ჩატრიალება ვის გაუგია?**

– როგორ არ შეიძლება? აბა, სხვა რა ვიფიქრო? რა, კაცის თავს ხომ არ გაატარებდნენ ხორცის მანქანაში?

— **რას ბრძანებთ! მე უფრო მგონია, რომ ვისაც ჰქონდა საქმე ამ ხინკალთან, მომსახურე პერსონალს, იგივე ამ ხორცის გამტარებელს, ან ხინკლის მომხვევს ჩამოუვარდა ეს პროთეზი.**

– მე ჩემი ახსნა მაქვს და თქვენ – თქვენი. ფაქტია, რომ ის ჩემი სტუმარი გაგიჟდა კინაღამ, როგორია პირში რომ სხვის კბილს ნახავ? ხალხი რას ჭამს, არ უნდა კონტროლდებოდეს? ვიღაცის ნაჭამს მაჭმევენ? საიდან ხვდება ასეთი რამ საკვებში? ეგება, იმ ვიღაცას ან ტუბერკულოზი აქვს, ან რამე დაავადება, ვიცი? მინდა, ამას ექსპერტიზა ჩაუტარდეს, ამიტომ მოგმართეთ პირდაპირ თქვენ, რომ გავახმაუროთ, რა ხდება. რამდენი ხანი იყო ეს მასა ხორცის ფარშში? მინდოდა ექსპერტიზის გაკეთება და არავინ შემხვდა მაგათგან. მე კიდევ სამხარაულში წასასვლელი ფული არ მაქვს. ისე, ყველაფერი შენახული მაქვს და გამოვიძიოთ.





მამუკა მაისურაძე



**სანამ გამოძიებას დავიწყებდეთ, მანამდე რედაქციაში ვიწვევ „ანტიკორუფციული კავშირის“ ხელმძღვანელს, გია ბურჯანაძეს:**

– მოქალაქის თქმით, ფირმის წარმომადგენელმა დაადასტურა და აღიარა, რომ ნამდვილად მათ ნაწარმში იყო ეს უცხო სხეული. ამ დროს, ეს ისეთი საშიში რამაა, ეს მინი პროთეზი, რომ თავისი წამახული წვერით, შესაძლოა, ნაწლავი გახიოს, თუ გადაეყლაპა ადამიანს. ამისთვის კი საჭირო გახდება საკმაოდ ძვირადღირებული ოპერაციის ჩატარება და 30-კაპიკიანი ხინკალი დაგიჯდებათ მინიმუმ 5000-ლარიანი ოპერაცია, ისიც დაზღვევა თუ ჩაერთო საქმეში. ეს კბილი, კუჭ-ნაწლავში მოხვედრამდეც უკვე სახიფათო იყო ადამიანისთვის. ამიტომ სურსათის ეროვნულ სააგენტოსგან საჭიროა მეტი პრევენცია ამ საქმეში. შეიძლება, ამ ადამიანს შარი იქით მოსდონ, რომ ეს კაცი ან ინტრიგანია, ან კონკურენტმა ფირმამ მიაგზავნა და რა კბილი, რის კბილიო, იტყვიან.

— **თქვენ თუ ხვდებით მსგავს შემთხვევებს, ასეთი უცნაური ნივთები რომ აღმოჩენილიყო საკვებში?**

– რამდენიც გინდათ. სამწუხაროდ, ჩვენ ვნახულობთ შაურმაში, მაგალითად, „შურუპებს“. არა მგონია, ეს ნაკბეჩიდან მოხვედრილიყო ფარშში, უფრო მომსახურე პერსონალიდან მგონია. ორი დღის წინ საბურთალოს რაიონში ვნახეთ შემთხვევა, ლობიანში ქალმა მინის ნატეხი იპოვა. მაგრამ, ვიმეორებ, მსგავსი შემთხვევების დროს გალმა შემოდავება ხშირია და ეს კაცი ამას გადარჩენილა. ამ კბილს კი ჩვენ ექსპერტიზას ჩავუტარებთ და ამ საკითხს მივხედავთ.

**ამის შემდეგ მოვიპოვეთ ფირმა „მადაგონის“ გაერთიანების დირექტორის ლევან ხიჯაკაძის კოორდინატები და კომენტარისთვის მას დავუკავშირდით:**

– ჩვენ ვთხოვეთ მეორე დღეს ექსპერტიზაზე წაღება, მე ვიხდიდი ყველანაირ ხარჯს, სადაც შესაბამისი სამსახურებიც გვყავს. მივედით, ჩავუტარეთ ვიზუალური დათვალიერება და არავინ არ მოინდომა ჩემთან კონტაქტზე გამოსვლა. ნასვამი იყო, აქაო, მე „ოცნების“ ლიდერი ვარო და დაგხურავთო.

— **როგორ მოხვდა ეს კბილი ხინკალში?**

– ჩემი მძღოლი ელაპარაკა და ეგ ითხოვდა, კიდევ მომიტანეთ ხინკალიო და მაგაზე მივსულიყავით? პირველი შემთხვევა კი არ არის, დაურეკიათ და ყოფილა, რომ ექსპერტიზაზეც წაგვიღია და ჩვენი ბრალი არასოდეს არ ყოფილა.

— **თქვენი ვერსია მაინტერესებს, როგორ მოხვდა კბილის მინიპროთეზი საკვებში?**

– მეც არ ვიცი, ჩემმა მძღოლმა ჩემი სიტყვები პირადად გადასცა და თუ საინტრიგნოდ რეკავთ, აზრი არ აქვს ლაპარაკს.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენებაზე ოთხი პირი დააკავეს



სამინისტროს ცნობით, ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და ყალბი ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამმართველოს უფროსი დავით ქავთარაძე, შპს „ტომატოს“ დირექტორი ალექსანდრე ილაშვილი, ამავე შპს-ს ბიზნესპარტნიორი ალექსანდრე რობაქიძე და მათთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი ფიზიკური პირი ადალეთ ბაირამოვი დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ქავთარაძე სამსახურებრივ უფლებამოსილებას ბოროტად იყენებდა და უპირატესობას შპს „ტომატოს“ წარმომადგენლებს, ალექსანდრე რობაქიძესა და ალექსანდრე ილაშვილს ანიჭებდა. ის საექსპორტოდ გასატან ტვირთებზე ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატებს ყოველგვარი შემოწმებისა და დათვალიერების გარეშე გასცემდა. ქავთარაძე აღნიშნულის სანაცვლოდ შპს „ტომატოს“ წარმომადგენლებისგან გარკვეულ თანხას იღებდა.

თავის მხრივ, შპს „ტომატოს“ წარმომადგენლები ფიზიკურ პირთან, ადალეთ ბაირამოვთან წინასწარი შეთანხმებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტისთვის წარმოშობის ქვეყნის შეცვლის მიზნით, აყალბებდნენ ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტებს, რის შემდეგაც აღნიშნულ დოკუმენტაციას საბაჟო ორგანოებში წარადგენდნენ.

გამოძიება დავით ქავთარაძის მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 3 წლამდე), ხოლო ალექსანდრე ილაშვილის, ალესანდრე რობაქიძისა და ადალეთ ბაირამოვის მიმართ გამოძიება ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც თავისუფლების აღკვეთას ვადით 4-დან 7 წლამდე ითვალისწინებს).

(ინტერპრესნიუსი)

## რუმინელმა კოლეგამ უსუფაშვილს ეკონომიკური ფორუმების ორგანიზება შესთავაზა



ბუქარესტში, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი რუმინეთის დეპუტატთა პალატის სპიკერმა ვალერიუ ზგონეამ მიიღო. მან უსუფაშვილს მიულოცა ვილნიუსის სამიტზე ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებების პარაფირება.

დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო რუმინეთს უყურებს, როგორც ერთ-ერთ ყველაზე ახლო და სანდო პარტნიორსა და მეზობელს.

„გვაქვს უამრავი გამოწვევა ევროპისკენ სავალ გზაზე და ჩვენთვის მთავარი და მნიშვნელოვანი თქვენი მხარდაჭერაა. ასოცირების ხელშეკრულება გვაძლევს უფრო მეტი უსაფრთხოების განცდას, რომ ევროპელი მეგობრები ჩვენ გვერდით იქნებიან“, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ვალერიუ ზგონეამ უსუფაშვილს შესთავაზა, რომ ორგანიზება გაუკეთდეს ორ ეკონომიკურ ფორუმს, სადაც მონაწილეობას ქართველი და რუმინელი ექსპერტები მიიღებენ. ფორუმზე რუმინული მხარე ქართველ ექსპერტებს იმ გამოცდილებას გაუზიარებს, რაც ქვეყანამ ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში მიიღო. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



# ექსკლუზივი

# გარემოს დაცვის სამინისტრო: „ტყე შეუნახე შვილებსა“, ბიუჯეტი — ფლანგე!!!!

**„ალიას“ „მეწარმეთა უფასო დახმარების ცენტრის“ დამფუძნებელი, ფინანსისტი გიორგი ჩახაია ესაუბრა:**

**— ბატონო გიორგი, რა სახის დოკუმენტაცია შეისწავლეთ, რა ხდება რეალურად გარემოს დაცვის სამინისტროში, რა სახის ხარჯებია გაწეული მას შემდეგ, რაც გოგალაძე დაინიშნა მინისტრად?**

– გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2013 წელს გაწეული ხარჯების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რომ, საკმაოდ დიდი მოცულობის თანხებია დახარჯული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე, ავტომობილების ტექმომსახურებასა და რეცხვაზე, საწვავზე, საოფისე ტექნიკასა და ორგანიზებულ კონფერენციებზე, თუმცა ამავე დროს, სხვა მიმართულებითაც საკმაოდ სოლიდური თანხები დაიხარჯა.

**— დავაკონკრეტოთ.**

– სამინისტროსა და მისი უწყებების მიერ, შესყიდულია 2 224 320 ლარის ღირებულების ავტოსატრანსპორტო საშუალებები. აქედან ყველაზე მეტი თანხა – 1 313 268 ლარი, ამ მიმართულებით დახარჯა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა. ამ დეპარტამენტს აქვს ასეთი შესყიდვა: ერთი ხელშეკრულებით შეძენილია 1 093 359 ლარის ღირებულების 26 ერთეული ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალება „ტოიოტა ჰაილუქსი“, საცალო ფასით 42 052 ლარი. სუბიექტური მოსაზრებაა რომ, ნებისმიერმა სამინისტრომ და მათ შორის გარემოს დაცვის სამინისტრომ, ე.წ. პიკაპის ტიპის ავტომობილებში არ შეიძლება გადაიხადონ ამ რაოდენობის თანხა, როცა ავტომობილების ბაზარზე ადვილად მოიძებნება ამ ტიპის ავტომობილები დაახლოებით 30-32 ათასი ლარის ფარგლებში და, თითოეული ამ კატეგორიის ავტომობილის შეძენაზე დანაზოგმა თანხამ, შესაძლოა, შეადგინოს მინიმუმ 10 ათასი ლარი. არანაირი საჭიროება არ არსებობს მაინცდამაინც 42 ათას ლარიანი პიკაპების შეძენის, მხოლოდ ეგ არის, მოდაში შემოვიდა ე.წ. „ჰაილუქსები“, რაც მიმაჩნია რომ, არ არის მართებული.

**— შესაბამისად, ალბათ, საწვავზე და მანქანების შენახვაზე ფასები გაიზარდა. ასეა?**

– რა თქმა უნდა, ახლად შეძენილი, ასევე, სამინისტროსა და მისი უწყებების ბალანსზე რიცხული სხვა ავტომობილების ტექმომსახურება-რეცხვისა და მათი საწვავის ხარჯებიც შესაბამისად დიდია. სულ, 2013 წლისთვის დაიდო 387 682 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები ავტოტექმომსახურებასა და რეცხვაზე, ხოლო 1 064 970 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები საწვავის შეძენაზე. საჭიროა, ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციამ გაითავისოს, რომ გარდა ავტომობილების შეძენაზე დახარჯული ფულადი სახსრების სიდიდისა, ასევე ცალკე პრობლემას წარმოადგენს, შემდგომში მათ მოვლა-შენახვაზე გაწეული ხარჯების რაოდენობა, განსაკუთრებით კი საწვავის ხარჯი.

**— როგორც ვიცი, სამინისტროში ყველა სახის ტექნიკა გამოიცვალა. რა ხარჯები გასწიეს ამ მიმართულებით?**

– შეიძლება ითქვას, რომ საოფისე ტექნიკის მარაგების „გამდიდრება“ მართლაც მოხდა. სამინისტრომ და მისმა უწყებებმა სულ შეიძინეს 654 075 ლარის ღირებულების ტექნიკა, მათ შორის 613 377 ლარის კომპიუტერული ტექნიკა. დაფიქსირდა ასეთი შესყიდვები მათ შორის: 1 ტელევიზორი „ფილიპსი“ – ღირებულებით 2400 ლარი და 1 ვიდეოკამერა „სონი“ (აქსესუარებით) – ღირებულებით 10 470 ლარი. მინდა ხაზი გავუსვა, მიუხედავად იმისა რომ, საბიუჯეტო ორგანიზაციების აღჭურვა მართლაც უნდა მოხდეს თანამედროვე ელექტრონული საშუალებებით, ეს უნდა მოხდეს გონივრულ ფარგლებში, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ცოტა სასაცილოც კი გამოდის რომ, იმავე ქვეყანაში ოფიციალურად დაახლოებით ნახევარ მილიონ მოქალაქეს, სიღარიბეში ძვრებოდეს სული და საბიუჯეტო ორგანიზაციები „გადატენილი“ იყოს ბოლო თაობის კომპიუტერული და სხვა სახის ელექტრონული ტექნიკით.

**— რაც შეეხება სამინისტროს მიერ ორგანიზებულ შეხვედრებს?**

– სხვადასხვა სასტუმროებში ორგანიზებული კონფერენციების მოწყობაზე, სულ დაიხარჯა 271 276 ლარი. ამ რაოდენობის თანხის დახარჯვა ამ მიმართულებით, ყოველ შემთხვევაში დღემდე ჩემ მიერ შესწავლილი სამინისტროების ხარჯებში არ შემხვედრია. ეტყობა, გარკვეული გავლენა იქონია მინისტრის წინა წლების შრომითმა ისტორიამაც, ვინაიდან, ქალბატონი ხათუნა გოგალაძე წლების განმავლობაში მუშაობდა არასამთავრობო სექტორში, სადაც ძალიან ხშირია კონფერენციებისა და პრეზენტაციების მოწყობა. არსებობს ასეთი გამოთქმაც: „არასამთავრობოები უფრო მეტ ანგარიშებს წერენ და პრეზენტაციებს აწყობენ, ვიდრე საქმეს აკეთებენო“, თუმცა ჩემი მოსაზრებით ეს ყველას არ ეხება და, ბევრი მათგანი, მართლაც მნიშვნელოვნად სასარგებლო საქმიანობას ეწევა.

**— რაც შეეხება ავეჯსა და სხვა ხარჯებს?**

– სულ სამინისტრომ და მისმა უწყებებმა შეიძინეს 124 945 ლარის ღირებულების ავეჯი და, მათ შორის არის ასეთი 2 შენაძენი: 1 ცალი კუთხის დივანი 3500 ლარად და, ტყავის სამეული 4480 ლარად. არა და, ნებისმიერ ავეჯის საცალო გაყიდვის ობიექტზე, საბიუჯეტო ორგანიზაციები 1500 ლარის ფარგლებში, ადვილად იპოვიან ძალიან კარგი ხარისხის ე.წ. „კუთხის დივანსაც“ და „სამეულსაც“, რომლებიც თუნდაც ნებისმიერი მინისტრის სამუშაო კაბინეტს დაამშვენებდა და არანაირი საჭიროება არ არსებობს 3500 ან 4480 ლარის ღირებულების დივანი-სამეულების შესყიდვის. ეს ავეჯი თავსდება სამუშაო კაბინეტებში და არა კერძო ბინებში.

რაც შეეხება სამინისტროსა და უწყებების მიერ, 2013 გაწეულ სხვა სახის ხარჯებს, შემიძლია ჩამოგითვალოთ შემდეგი: სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენაზე დაიხარჯა 27 078 ლარი, სხვადასხვა საკვებ პროდუქტებსა და სასმელებზე (ალკოჰოლური და უალკოჰოლო) 22 074 ლარი, ხოლო რესტორნებსა და ფურშეტებზე – 58 364 ლარი.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16







ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## წულუკიანი თომას ჰამერბერგს შეხვდა



იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში საქართველოს მთავრობის მრჩეველ თომას ჰამერბერგს შეხვდა. იუსტიციის სამინისტროს ცნობით, საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგია იყო, რომელზეც მთავრობა მუშაობს და განსახილველად მომავალში პარლამენტს წარედგინება.

„ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს რჩევა დაგვეხმარება იმ რეფორმების წარმატებით განხორციელებაში, რომლებიც ამ ხელშეკრულების ხელმოწერისათვის არის ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენ ვისაუბრეთ ადამიანის უფლებათა დაცვის იმ სტრატეგიაზე, რომელიც მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანას ჰქონდეს როგორც სახელმძღვანელო. დიდი იმედი მაქვს, რომ მას ერთხმად დაამტკიცებს პარლამენტი და საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. უნდა დაიხვეწოს საქართველოს კანონმდებლობა ისე, რომ ის შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ადამიანის უფლებები უნდა იყოს მთავრობისა და ჩვენი ქვეყნის მთავარი პრიორიტეტი სხვა დანარჩენ პრიორიტეტებთან ერთად, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა და ჯანდაცვა“, – განაცხადა მინისტრმა. (ინტერპრესნიუსი)

## ტექნოლოგიური უნივერსიტეტი აღარ გაიხსნება



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა. სანიკიძის თქმით, არასწორია ინფორმაცია, როდესაც ამბობდნენ, რომ ტექნოლოგიური უნივერსიტეტი მილენიუმის კომპაქტის ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო.

„ტექნოლოგიური უნივერსიტეტის იდეა შემოთავაზებული იყო საქართველოს მთავრობის მხრიდან და დაწუნებული მილენიუმის კორპორაციის მიერ, რადგან შეფასდა, როგორც არამომგებიანი და არარელევანტური. შესაბამისად, ეს იდეა მას შემდეგ არ განვითარებულა. ჩემი თხოვნაა, ამაზე დავასრულოთ საუბარი. არც დაგეგმილა, არც განვითარებულა ამის კონცეფცია და, შესაბამისად, არც ახლა წარმოადგენს განხილვის საგანსა და პრიორიტეტს“, – აღნიშნა სანიკიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## გორთან 20-მეგავატიანი ქარის ელექტროსადგური აშენდება



ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის განცხადებით, გორის მიმდებარე ტერიტორიაზე 20-მეგავატიანი ქარის პირველი ელექტროსადგური აშენდება. მისი ინფორმაციით, პროექტის სახელწოდება იქნება „ქართლი“. მიმდებარე ტერიტორიაზე არსებობს ელექტროგადამცემი ხაზებიც, რაც პროექტის განხორციელების ღირებულებას აიაფებს.

„ჩვენ დავამონტაჟეთ ანძა, რომელზე დაყენებული სპეციალური მოწყობილობები ზომავს ქარის სიმძლავრესა და მიმართულებას. ვფიქრობ, მაისიდან უკვე დავიწყებთ მშენებლობას და ქარის პირველი ელექტროსადგური 6-7 თვეში დასრულდება“, – აღნიშნა კალაძემ. (ინტერპრესნიუსი)



# რას დააფინანსებს ევროკავშირი საქართველოში?

**ინტერვიუ ექსპერტთან ევროკავშირის საკითხებში, „ევროპული კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელ ლევან ბოძაშვილთან:**

**— ბატონო ლევან, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტი ევროპაში წარმატებულად შეფასდა. თქვენ როგორ შეაფასებდით ქართული დელეგაციის ევროპულ ტურნეს?**

– ფაქტია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომაც და ჩვენმა შესაბამისმა საელჩოებმაც ეფექტურად იმუშავეს, ხოლო პრემიერ-მინისტრმა მოლაპარაკებების ეტაპი წარმატებულად განახორციელა. ამ ვიზიტებმა აჩვენა, რომ ევროკავშირის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ თვისობრივად ახლებური და ინტენსიურია, ვიდრე ოდესმე. შვედეთისა და პოლონეთის თაოსნობით 12-მა წამყვანმა ევროკავშირის წევრმა ქვეყანამ უკვე მოაწერა ხელი 20-პუნქტიან სამოქმედო გეგმას, რომელიც საქართველოსა და მოლდოვას მიმართ არა მხოლოდ პროცესის ინტენსიფიკაციას, არამედ კონკრეტული საფინანსო დახმარების აღმოჩენის საკითხებს მოიცავს, როგორც პრიორიტეტულ სამოქმედო გეგმას. ის, ასევე, ითვალისწინებს ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების ლიდერებისა და ინსტიტუციური ხელმძღვანელობის უმაღლესი პირების მუდმივ ვიზიტებს საქართველოში, რაც იმის დადასტურებაა, რომ ევროკავშირის ყურადღება საქართველოს მიმართ უპრეცედენტოდ მაღალია. გეგმა, ასევე, ითვალისწინებს დამატებითი დაფინანსების გამოყოფას სოფლის მეურნეობის სფეროს განსავითარებლად და რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულების ხარისხის შესამცირებლად. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კარგად გამოჩნდა, რომ ევროკავშირი ღიად დაიწყებს გაფართოების თაობაზე საუბარს, რაც მანამდე ერთგვარად არაგანხილვადი თემა იყო.

**— შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს დელეგაციის წარმატება შეუმჩნეველი დარჩა ადგილობრივი პოლიტიკური სპექტრისთვის. დარჩა შთაბეჭდილება, რომ საერთოდ ვერ გაიგეს, რა მოხდა ევროპაში საქართველოსთან მიმართებაში ან გააზრებულად ხუჭავენ თვალს მთავრობის წარმატებულ ნაბიჯებზე. თქვენ ასეთი შთაბეჭდილება არ დაგრჩათ?**

– მთავარი კრიტიკა, რომელიც პრემიერის ვიზიტს უკავშირდებოდა, იყო ის, რომ მან არ გამოიყენა მიუნხენის კონფერენციის მაღალი დონე რუსეთისადმი აგრესიული კრიტიკისთვის. ვფიქრობ, მთავრობის საგარეო კურსი კარგადაა ცნობილი – ესაა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ქვეყნის ინტეგრაციის შეუქცევადობის უზრუნველყოფა. კრიტიკის საფუძველს კი ამ შემთხვევაში წარმოადგენს ტაქტიკა და არა სტრატეგიული კურსი. მიმაჩნია, რომ რუსეთის მიმართ აგრესიული რიტორიკის საჭიროება არა მხოლოდ არ არსებობს და არაფრის მომცემია, არამედ კონტრპროდუქტიულიცაა. ევროკავშირმა კარგი გაკვეთილი გამოიტანა უკრაინის მოვლენებიდან, ეფექტური და ზედმიწევნით მიზანმიმართულია აშშ-ის პოლიტიკაც ჩვენი რეგიონის მიმართ. ჩვენი დასავლელი პარტნიორები ჩვენზე არანაკლებად კარგად აცნობიერებენ საფრთხეებს, რომლებიც სააშკარაოზე სწორედ უკრაინამ გამოიტანა და რეაგირებასაც არ აყოვნებენ.

**— გასულ კვირას აქტუალური თემა გახლდათ ქართული დელეგაციის სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა... სოჭში იმყოფებიან სოხუმისა და ცხინვალის ე.წ. ხელისუფლებების წარმომადგენლები, რომლებიც ცერემონიალზე სამთავრობო ლოჟაში ისხდნენ... ჩვენი საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქართველი სპორტსმენები სოჭში არ უნდა წასულიყვნენ. თქვენ როგორ შეაფასებდით ოლიმპიადაში მონაწილეობას და ეს ნაბიჯი რამდენად პოზიტიურად ან უარყოფითად შეიძლება აისახოს რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე?**

– ნათელია, რომ რუსეთი ცდილობს, ოლიმპიადა პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენოს. კერძოდ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის როგორც „დამოუკიდებელი“ ერთეულების პოპულარიზაციისთვის, რაც, ვთვლი, რომ საპირისპირო შედეგს მოიტანს და მსოფლიოს აპოლიტიკური საზოგადოება კიდევ ერთხელ დაინახავს, რომ საქმე რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებთან აქვს და სწორედ ამის ხაზგასმა მოხდება და არა პირიქით. რაც შეეხება სპორტსმენთა მონაწილეობას, ვთვლი, რომ მიღებულ იქნა რაციონალური გადაწყვეტილება. სპორტსმენების ოლიმპიადაზე წაუსვლელობა რუსეთის მიერ პროვოკაციებისთვის იქნებოდა გამოყენებული, რის შემდეგაც ჩვენ ისევ თავის მართლების რეჟიმში ალმოვჩნდებოდით.

**— საზოგადოებაში არც ცხრება ხმაური ბიძინა ივანიშვილის მიერ არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ დაფუძნებასთან დაკავშირებით. „ნაცმოძრაობასთან“ ასოცირებული არასამთავრობო ორგანიზაციები ექსპრემიერს არასამთავრობო სექტორის მონოპოლიზების მცდელობაში სდებენ ბრალს. ივანიშვილმა არასამთავრობოებს მოუწოდა: „თუ გინდა ობიექტური იყო, კარგზე კარგი უნდა თქვა, ცუდზე — ცუდი. კონტროლი არ ნიშნავს მარტო კრიტიკას“. რამდენად საფუძვლიანია მტკიცება, რომ ივანიშვილი ასარამთავრობო სექტორიდან „შეეცდება არასამთავრობო სექტორის დაქვემდებარებას“?**

– ბიძინა ივანიშვილის არასამთავრობო სექტორში უკვე ფორმალურად შემოსვლა ორი რამის გამოც არის მნიშვნელოვანი – კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ის არის თანმიმდევრული ადამიანი, აქვს კონკრეტული სამოქმედო გეგმა, მიჰყვება ამ გეგმას, იღებს პასუხისმგებლობას და შესაბამისად, იმსახურებს ნდობას საზოგადოებისგან. და მეორე, არასამთავრობო სექტორი აღარ იქნება ცალსახად ერთპოლუსიანი, როგორც აქამდე. თავად არასამთავრობო სექტორისთვის მნიშვნელოვანია, რომ ის არ იყოს მონოპოლიური.

დღეს საქართველოში არაერთი წარმატებული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელთა მოხსენებებს, ინფორმაციებსა და მოსაზრებებს მრავალი საერთაშორისო სამთავრობო თუ არასამთავრობო წრე იყენებს და ეყრდნობა, მათ შორის – ლობისტური ჯგუფებიც. ისინი ქმნიან გარკვეულ საზოგადოებრივ დისკურსს და ახდენენ გავლენას საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. ამდენად, საზოგადოების მაღალი ინტერესია, რომ ეს სექტორი იყოს მრავალფეროვანი, დამოუკიდებელი და ეფექტური და არა მხოლოდ დაკვეთაზე ორიენტირებული. ჩემი აზრით, არასამთავრობო სექტორი დიდწილად, თვისობრივად არასწორი გზით განვითარდა. არასამთავრობო ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა შეითავსა, ერთი მხრივ, პოლიტიკური პარტიების კრიტიკის, ხოლო მეორე მხრივ კვლევითი ინსტიტუტების ფუნქცია, რაც უფრო სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციაა და არა არასამთავრობო ორგანიზაციების. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ღარიბაშვილი ნატო-ს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარეს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ნატო-ს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარეს, გენერალ კნუდ ბარტელსს შეხვდა.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე ხაზი გაესვა საქართველო-ნატოს თანამშრომლობის მნიშვნელობას და არსებულ მყარ პარტნიორულ ურთიერთობას.

აღინიშნა ნატო-ში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი, ის დემოკრატიული პროცესები და რეფორმები, რასაც ადგილი ჰქონდა ბოლო პერიოდის განმავლობაში. ასევე, ხაზი გაესვა საქართველოს წვლილს საერთო ევროატლანტიკური უსაფრთხოების პროცესში, კერძოდ, ავღანეთის მისიაში.

შეხვედრა საქართველოს მთავრობის კანცელარიაში გაიმართა და მას საქართველოს თავდაცვის მინისტრი, ირაკლი ალასანია, ასევე გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე დაესწრნენ. (ინტერპრესნიუსი)

## ათენში წმ. ექვთიმე მთაწმინდელის სახელობის ბიბლიოთეკა გაიხსნა

ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრში „კავკასია“ წმ. ექვთიმე მთაწმინდელის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის პრეზენტაცია მოეწყო. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, ბიბლიოთეკა შეიქმნა „ათენის ქართული ინსტიტუტის“ სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრის „კავკასიას“ მხატვრული ლიტერატურის ბიბლიოთეკების ბაზაზე. ბიბლიოთეკას საჩუქრად სხვადასხვა სახის ლიტერატურა გამომცემლობებმა და ასევე, სხვადასხვა ავტორებმა გადასცეს.

პრეზენტაციის ფარგლებში ჩატარდა ლიტერატურული საღამო, რომელზეც დამსწრე საზოგადოებას საშუალება მიეცა, გასცნობოდა ახალ ქართულ გამოცემებს, ასევე საქართველოში განხორციელებულ ლიტერატურულ პროექტებს, ტენდენციებსა და სამომავლო პერსპექტივებს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვეტერანებისთვის უფასო პირადობის მოწმობების გაცემა იწყება




საქართველოს იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის ინიციატივით, იუსტიციის სახლი და სერვისების განვითარების სააგენტო ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისთვის უფასო პირადობის მოწმობის გაცემას იწყებენ. აქცია 15 თებერვალს დაიწყება და 15 მარტის ჩათვლით გაგრძელდება. ყველა ვეტერანს, გარდაცვლილი ვეტერანების მეუღლეებსა და შრომისუუნარო ოჯახის სრულწლოვან წევრებს, რომლებსაც პირადობის ახალი მოწმობა ჯერ არ აუღიათ, საშუალება ექნებათ, დოკუმენტი უფასოდ მიიღონ. აქციის ფარგლებში ყველა მათგანი განთავისუფლდება როგორც დოკუმენტის, ასევე ფოტოსურათის გადაღების ღირებულებისგან.

„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საქმე. მე მინდა მოვუწოდო ყველა ვეტერანს, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის იბრძოდა, იმისთვის, რომ ჩვენ უსაფრთხო ქვეყანაში გვეცხოვრა, ისარგებლოს ამ შესაძლებლობით და აიღოს საქართველოს მოქალაქის პირადობის ახალი მოწმობა“, – აღნიშნა წულუკიანმა.

წულუკიანის თქმით, დევნილთა აქციის ფარგლებში, 60 ათასზე მეტმა მოქალაქემ აიღო პირადობის მოწმობა. მისივე თქმით, 32 ათასი პედაგოგი უსაფრთხო დოკუმენტის მფლობელი გახდა.

დღეისთვის საქართველოში ომისა და სამხედრო ძალების 72 ათასამდე ვეტერანია რეგისტრირებული. იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით, პარალელურად მიმდინარეობს 17-დან 22 წლამდე ასაკის მოქალაქეებისა და პირობითი მსჯავრდადებულებისთვის პირადობის მოწმობის უფასოდ გაცემის აქცია, რომელიც 24 თებერვლამდე გაგრძელდება. (ინტერპრესნიუსი)

## გამგეობა და მერია ხანძრის შედეგად დაზარალებულებს დაეხმარებიან




11 თებერვალს ვაგზლის მოედანზე, „ბავშვთა სამყაროსთან“ არსებული სავაჭრო ჯიხურების ნაწილს ხანძარი გაუჩნდა, ზოგ ჯიხურში საქონელი სრულად დაიწვა, ნაწილის გადარჩენა კი მოხერხდა. დამწვარია 500-600 კვადრატული მეტრის ფართობი. ადგილზე მობილიზებული იყო 15 სახანძრო-სამაშველო ბრიგადა. ხანძრის გამომწვევი მიზეზები ამ დროისთვის უცნობია.

დიდუბის რაიონის გამგებლის მოადგილის დავით ნაფეტვარიძის თქმით, ზარალის შესწავლა მიმდინარეობს და ისინი თბილისის მერიასთან ერთად, შესაძლებლობების ფარგლებში, დაზარალებულებს დაეხმარებიან.

„ზარალს ახლა ვსწავლობთ. რაც სასიხარულოა, ფიზიკურად არავინ დაზიანებულა, დანარჩენს შევისწავლით. სამართლებრივად, რისი საშუალება გვექნება დიდუბის რაიონის გამგეობასა და თბილისის მერიას, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, დაზარალებულებს დახმარებას გავუწევთ“, – განაცხადა ნაფეტვარიძემ. (ინტერპრესნიუსი)

ავტორი ლალი ზანდუკელი 2 23-11-28

1. ომანის დედაქალაქი
2. ქართული მინერალური წყალი
3. ქვეყანა დასავლეთ აზიაში
4. თავაშვებული ქეიფი
5. გერმანიის დედაქალაქი
6. ძველი ეგვიპტის დედაქალაქი
7. მოცარტის მოწყენე კომპოზიტორი
8. ჰიგიენური დანიშნულება
9. „ღამის" მცირე მუსიკალური ნაწარმოები
10. საცალფეხო გზა
11. ბიზეთ თეატრი მოსკოვში
12. „შეშის" ფორმის ქვეყანა
13. ხელოვნური ტყავი
14. გადაშენებული მორბენალი ფრინველი
15. ... ულენშპიგელი
16. თანამედროვე ბრაზილიური ცეკვა
17. სარკეების წარმოებაში გამოყენებული ნაერთი
18. მატრაკვეცა, მატყუარა
19. პეტიტზე წვრილი სასტამბო შრიფტი
20. ქვეყანა აფრიკაში
21. დამშეიდობება ესპანურად
22. მდინ., სადაც ეცლი მონათლეს
23. თვალის კაკლების უნებლიე მოძრაობა
24. ხმელთაშუა ზღვის ნაწილი
25. ძალიან ვიწრო და ღრმა ხეობა
26. ფრანგი მწერალი ჟორჟ ...
27. მუზების საზნის ანთება
28. ისრაელის წარმოების ავტომატი
29. სოფელი წალენჯიხის რაიონში
30. ძუძუ-სოტის უმაღლესი ხარისხი
31. იგივეა, რაც კვიპაროსი
32. ფრანგული ფეხბურთის ვარსკვლავი
33. ხელოვნური აბრეშუმი
34. „მე, ბებია, ილიკო და ..."
35. პომიდვრის წვენი
36. ფეხბურთის სათამაშო მოედანი
37. არისტოტელეს მეუღლის სახელი
38. უმზო, წინ ნამოშვერილი კბილი
39. მშვიდობის ფრინველი
40. (ძვ.) ძვირფასი საჩუქარი
41. ფეხბურთელ მეტრეველის სახელი
42. ეგვიპტური ქართული ნამდვილი ღვთაება
43. გემის გვერდის კედელი
44. ლუარსაბ თათქარიძის მეუღლე
45. ჩეჩნეთის ისტორიული სახელწოდ.
46. ჯაჭვმიანი რეპტილია
47. მონღოლ-ალმდეგე ბრძოლაში
48. ლინგვისტური მოვლენა
49. პირი უმაღლესი ტეკნიკური განათლებით
50. მეგრული ხალხური სიმღერა
51. რუსეთის ფედერაციის ობიექტი
52. გერმანელი ფიზიკოსი
53. მუსიკ. გამის III ნოტი
54. რადიოაქტ. ქიმიური ელემენტი
55. მუზარადის მოძველებ. სახელწოდ.
56. საქარგავი ფერადი ძაფი
57. ფეხების დარტყმა, სპილენძს გაგრება
58. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
59. შეძახილი კავკასიურ ცეკვებში
60. მდინარე აზიაში
61. ქვეყანა კარიბის ზღვის აუზში
62. უწყვეტული მაშაჯაცი
63. პოლონური კათოლიკური ტაძარი
64. ადვილი, მარტივი
65. კათოლიკური ჯვარი
66. „ბითლზის" წევრი
67. კამერუნის დედაქალაქი
68. ესპანელის და ინდიელის შთამომავალი
69. ახლად ფეხადგმული ბავშვის სიარული
70. ქართული ჟურნალი
71. ესპანეთის საფეხბ. კლუბი
72. ხვეისპერი გორის ვაჟი
73. ბრტყელი კუთხეების სახური ერთეული
74. პოლიგრაფიის ვარსკვლავები საკვერელი რელიგია
75. ფრანგი მწერალი
76. ანტილოპის სახეობა
77. ჰომეროსის პოემა
78. ზევსის დედა
79. აგამემნონის ვაჟი
80. სამეურნეო მცენარე
81. სოფელი ლანჩხუთის რაიონში
82. ტაილანდელების ენა
83. ვულკანი სიცილიაზე
84. ფასიანი ქაღალდების საცავი
85. თავის ქალის უკანა ნაწილი
86. თვალის კლინიკა თბილისში
87. 2012 წ. ოსკარის პრემიის მფლობელი ქალი ჯენიფერ ...
88. ჭაობის მცენარე
89. ფილოსოფოსი პაპიროსი
90. ცხვრების ჯოგი
91. ქირისუფალთა მხლებელი გასვენებაში
92. ალისას ლიტერატ. „მამა"
93. ბიზანტიური ქალაქი მცირე აზიაში
94. სოფელი ოზურგეთის რაიონში
95. ემპრესარიები ბამოსაფენი დაფა
96. ქმრის ძმა
97. „ღვთაებრივი კომედიის" ავტორი
98. ისტორიულ ჩანაწერთა კრებული
99. გერმანელ ნაციონალ ბელადი
100. ამერიკელი მწერალი ... ბრაუნი
101. მდინარე გურიის მხარეში
102. ბოუნ-ჰაუზების ლიტერატ. „მამა"
103. სიტყვების მაგივრად, დახმარებით წარმოთქმა
104. ეკონომიკური კავშირი დასავლეთ ევროპაში
105. „მარსის" წარმოების შოკოლადის წვეილი ბატონი
106. მკურნალობის ქალაქგარეთ მოთოლოგ.
107. პოლიტიკურის მასხობი ჯგუფ...
108. მეფე არტურის ცისარტყელი
109. ღომში ჩახარშული სულგუნი
110. ჯაყოს ეროვნება
111. იგივეა, რაც რეაქციული
112. ხის სასულე მუსიკალური საკრავი
113. ბოტის ბრძოლებში გამზრდელი მისიონი
114. შერპის ფასადის ზედმეტი ნაწილი
115. კეთილი სული ევროპული მითოლოგიაში
116. მსახიობი ... გიბსონი
117. ამერიკული ფილმი „... როჯიდერი"
118. სამეფო ცისფერ ხეველიაში
119. თმაგაცვენილი ადამიანი
120. პიტალო კლდე
121. ცნობილი სიდიდის აღმნიშვ. ასო
122. ადამის შვილიშვილი
123. ულანბატორის ძველი სახელწოდება
124. იგივეა, რაც არმია
125. ბოჭკოვანი მცენარე
126. არაბთა გაერთიან. სამეფოების დედაქალაქი ... დაბი
127. დემნა შენგელაიას „ბაბა ..."
128. მე-19 ს. იტალიელი ბალერინა
129. პოეტი ... ფოცხიშვილი
130. ქადრაკის ტერმინი
131. ლეგენდარული გერმანელი მეკარე ოლივერ ...
132. ძვ. ეგვიპტელთა ქმნილი ფრინველი
133. სატანჯველი იარაღი
134. ქიმიური ელემენტი
135. წყალფრთიანი სინათლის მწერელი მწერი
136. ცეცხლგამძლე კარადა
137. მდინარე ყაზახეთში
138. იაპონური თეატრის სახეობა
139. მდინარე სანქტ-პეტერბურგში
140. ამერიკელი მსახიობი ჩარლზ ...
141. იაპონიის ერთ-ერთი საპორტო ქალაქი
142. რუს. თვითმფრინავის მარკა
143. თავისუფალი ფორმის ნარკვევი
144. იულიუს კეისრის მიერ „გადალახული" მდინარე
145. ხორბლის მარცვლის ბუდე
146. ფარიონის ერთეული, ქართულის მეგობარი
147. ბავშვთა გასართობი ატრაქციონი
148. ადამიანი, რომელსაც სმენა არ გააჩნია
149. ქალაქ სიმფეროპოლის ანტიკური სახელწოდება
150. იგივეა, რაც არჩევი
151. საწყობებში ცნობილი ფორმა
152. მოვლენების ხანგრძლივი განვითარება
153. გამდიდრებული მადანი
154. უმცირესი საზომი რიცხვი
155. მსახიობი ... ვივიენ
156. ქვეყნის ნაწილი
157. სახურავიანი ხის ყუთი, გარე-დან თოჯინებით შემოჭედილი



## პოლიციას 70 კილო მარიხუანას დაკარგვის გამო მიმართა!



– ბარაქა, ხოსე, – შურნარევი თვალებით შეუხედავთ 35 წლის ხოსე გვადალუპე ფლორესის „პლანის“ მოსავლისთვის მის მეზობლებს, რაზეც შესაფერისი პასუხიც მიუღიათ: წადით, თქვენი!..

ეს უხეში ვაჟბატონი ტეხასის შტატის მკვიდრი გახლავთ, რომელსაც ადამიანებთან ურთიერთობის არცოდნის გარდა, კიდევ ერთი და ძალიან დიდი პრობლემა ჰქონია – ის სულელი და უთავბოლოც აღმოჩნდა, რადგან ადგილობრივ პოლიციას საკუთარი ფეხით ეახლა და აღშფოთებულმა მოახსენა – ვიღაც მუდრეგებმა 70 კილო მარიხუანა მომპარესო...

ცხადია, „ლომის ხახაში“ საკუთარი სურვილით აღმოჩენილი ფლორესი პოლიციამ სახლში არ გაუშვა და მაშინვე საპატიმროში შეაგდო, თუმცა ამერიკელმა სამართალდამცველებმა მისი განაცხადი მაინც გაითვალისწინეს და მარიხუანას ქურდების ძებნა დაიწყეს, რადგან ასეთი დიდი ოდენობით ნარკოტიკს ხომ მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის ვერავინ გამოიყენებს და მის გაყიდვას შეეცდება.

*vesti.ru*

## შვილებს ეპიტაფიით: „სიგარეტმა მომკლა“, დაკრძალვა უანდერძა




აწ გარდაცვლილი ბრიტანელის, ალბერტ ვიტამურის საფლავის ქვაზე ეპიტაფიის: „სიგარეტმა მომკლა“ ხილვა დღესაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

ასეთი გაფრთხილებით, ალბერტ ვიტამურს მწეველებისთვის იმ საშიშროების წარმოჩენა სურდა, რომელიც ნამდვილად რეალურია და რომელსაც ყოველწლიურად ათასობით ადამიანის სიცოცხლე ეწირება.

როგორც ირკვევა, ბრიტანელი 65 წლის ასაკში ფილტვის კიბოს მსხვერპლი გახდა, სასიკვდილო სარეცელზე კი მან შვილებს უანდერძა, რომ საფლავის ქვაზე ზემომოყვანილი ეპიტაფია დაეტანათ.

ეჰ, არსებულ რეალობას თუ გავითვალისწინებთ, მწეველების დაფიქრებას, სამწუხაროდ, ვერც ეს ეპიტაფია შეძლებს...

*mainfun.ru*

## ახალი თაობის ხელჩანთა, ქალებს არასასურველი ფოტოგადაღებებისგან დაიხსნის



მართალია, არასასურველი ფოტოგადაღებები ხშირად, უფრო, ცნობილ ადამიანებს უქმნის პრობლემებს, თუმცა ამგვარი უსიამოვნებისგან დაზღვეული არც რიგითი ადამიანები არიან.

აქედან გამომდინარე, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა შექმნეს მართლაც შესანიშნავი ფუნქციების მქონე ხელჩანთა, რომელიც აბეზარი პაპარაცებისგან თავის დაღწევაში, მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს, ადვილად დაეხმარება.

სხვათა შორის, ხელჩანთას სახელწოდებაც შესაბამისი აქვს: „ანტიპაპარაცი“, მისი მთავარი ფუნქცია კი ის გახლავთ, რომ როცა ვინმე ჩუმად სურათის გადაღებას დააპირებს, ჩანთაში დამონტაჟებული მოწყობილობა „მოწინააღმდეგე“ აპარატის ტალღებს იჭერს, მას სინათლის სხივებს ახვედრებს და ამდენად, კადრის უმეტესი ნაწილის დაფარვას უზრუნველყოფს.

როგორც ამ უჩვეულო ხენჩანთის შემქმნელი, ადამ ჰარვი ამბობს, უახლოეს მომავალში ის მამაკაცების დახმარებასაც შეძლებს, ანალოგიური მოწყობილობის, მაგალითად, ჰალსტუხში ჩამონტაჟებით.

*factroom.ru*

## პლანეტის 8 უმსხვილესი ქალაქი სეისმურად საშიშ ზონებში ყოფილა გაშენებული



აღმოჩნდა, რომ პლანეტის 10 ყველაზე მსხვილი ქალაქიდან, 8 სეისმურად საშიშ ზონებში ყოფილა გაშენებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ათობით მილიონი ადამიანი, რომლებიც ამ ქალაქებში ცხოვრობენ, საფრთხის წინაშე მუდმივად დგანან.

გაეროს მიერ შედგენილ სახიფათო ქალაქების სიაში დასახელდა ისეთი ქალაქები, როგორებიცაა: ტოკიო, მეხიკო, ნიუ-იორკი, მუმბაი (ბომბეი), შანხაი, კალკუტა და ჯაკარტა.

აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილ ქალაქებში, დაახლოებით 161 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, თუმცა აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ტურისტების რაოდენობაც, რაც, საერთო ჯამში, უზარმაზარ ციფრს მოგვცემს.

გაეროს სპეციალური წარმომადგენლის, მარგარეტ ვალსტრემის თქმით, ამ ახალმა მონაცემებმა საზოგადოება საკმაოდ სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა, რადგან მიწისძვრა ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო და სასიკვდილო სტიქიური მოვლენაა, რომელთან ბრძოლაც, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ფატალური შედეგების თავიდან ასაცილებლად, მსოფლიოს ყველა ქვეყანამ იაპონიას უნდა მიბაძოს, სადაც საკმაოდ დიდი ხანია უკვე, რაც მშენებლობებში სეისმურად მდგრად ტექნოლოგიებს იყენებენ.

– მართალია, ეს ტექნოლოგიები ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ კატაკლიზმებისგან გამოწვეულ შედეგებს ბევრად დიდი პრობლემები მოსდევს, – ამბობენ გაეროს სპეციალისტები.

*factroom.ru*

## მკერდს... ჰიპნოზით ზრდის...



დევიდ ნაიტი – ასე ჰქვია ინგლისელ ჰიპნოზიორს, რომელიც ამტკიცებს, რომ შეუძლია, ნებისმიერ ქალს მკერდის ზომა მხოლოდ ჰიპნოზის ძალით გაუზარდოს და ასევე, სხეულის ეს მომხიბვლელი ნაწილი კიდევ უფრო მკვრივი გახადოს.

ნაიტის თქმით, მან უკვე გამოსცა სპეციალური კომპაქტდისკი, რომელშიც ჩაწერილია მისი საუბარი და რომელიც სასურველ შედეგს მაქსიმუმ 12 კვირაში იძლევა.

– იმ გამოხმაურებებიდან გამომდინარე, რომლებსაც, ფაქტობრივად, ყოველდღე ვიღებ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ჩემს მიერ შემუშავებული სტრატეგია შესანიშნავ შედეგს 100-დან 85 შემთხვევაში იძლევა, – ამბობს დევიდ ნაიტი.

სხვათა შორის, ნაიტი იმდენად არის დარწმუნებული სასურველ შედეგში, რომ მზად არის, დისკებში გადახდილი ფული უკან დააბრუნოს, თუკი რომელიმე მისი კლიენტი მკერდს ვერ გაიდიდებს...

*wovan.ru*

## „მზრუნველმა“ ცოლმა ქმარს სადილი... ძაღლის განავლისგან მოუმზადა!

ჰოდა, ციხეშიც მოხვდა!

ეს საშინელი და ამასთან ერთად, დამაფიქრებელი შემთხვევა შოტლანდიაში დაფიქსირდა, სადაც 47 წლის ჯილ მარტინს ქმრისთვის ძაღლის ფეკალიებით გაჯერებული სადილის მომზადების გამო, თავისუფლების 3 კვირით აღკვეთა მიუსაჯეს.

რატომაც არის საშინელი ეს შემთხვევა, თავადაც კი მიხვდებოდით, აი, დამაფიქრებელი იმიტომაა, რომ შესაბამისი დასკვნები გამოვიტანოთ და ანალოგიურ სიტუაციაში ჩვენც არ აღმოვჩნდეთ!

აღსანიშნავია, რომ სასამართლოზე აღიარებითი ჩვენების მიცემისას, ჯილ მარტინი სიცილით კვდებოდა და კმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ ქმარს განავლით გაუმასპინძლდა. მისი თქმით, ასეთი რადიკალური ნაბიჯი იმის გამო გადადგა, რომ ხვდებოდა, 21 წლის ქორწინება დანგრევისთვის იყო განწირული.

– მაინც ყველაფერი მთავრდებოდა და ავდექი და „ფინიშზე“ მოგებული გავედი, – ირონიულად განაცხადა ჯილ მარტინმა.

ძაღლის „პატივით“ დანაყრებული ქმრის შესახებ შოტლანდიურ მედიაში რატომღაც არაფერს ამბობენ. ალბათ, მას ჩვენების მიცემა შერცხვა – რა უნდა ეთქვა, რა, ქაქი ვჭამეო?!

*gazeta.ua*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– რთულია ჩემი ხელში ჩაგდება, ძალიან იოლია დაკარგვა და შეუძლებელია გამოყენება!

დიპლომი

*****



მამაკაცი აფთიაქში:

– ქალებისთვის „ვიაგრა“ ან რაიმე მსგავსი ხომ არ გაქვთ?

– ჩვენ არა, მაგრამ აქვე, კუთხეში, საიუველირო მაღაზიაა და იქ შეძლებთ რამის შერჩევას...

*****

ორი მეგობარი ერთმანეთს შვებულების შემდეგ შეხვდა:

– აბა, რა ამბები იყო წითელ ზღვაზე?

– აუ, მაგარი – დაივინგი, იახტინგი, დანსინგი, შოპინგი! და თქვენთან?

– ჩვენთან? ეჰ, ჩვენთან – ლოთობინგი, რწყევინგი, ჩხუბინგი!!!

*****

რა არის წარმატება და:

4 წლის ასაკში: თუ არ ჩაიფსამ.

12 წლის ასაკში: თუ მეგობრები გყავს.

20 წლის ასაკში: თუ გაქვს სექსი.

35 წლის ასაკში: თუ ბევრ ფულს შოულობ.

60 წლის ასაკში: თუ გაქვს სექსი.

70 წლის ასაკში: თუ მეგობრები გყავს.

80 წლის ასაკში: თუ არ ჩაიფსამ...

*****

– დამშორდა შეყვარებული, თან ისე, რომ ფოტოები გადმომიგზავნა, სადაც ჩემს ძმაკაცთან სექსით არის დაკავებული.

– მერე, რამე მოიმოქმედე?

– როგორ არა – ფოტოები მამამისს გავუგზავნე...

*****

ფრაზა: „მოდი, მეგობრებად დავრჩეთ“, ისეთივე სისულელეა, როგორც მაგალითად: „ძაღლო, ძალიან მომბეზრდი და მოდი, ახლა ჩემი კატა იყავი...“

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას



შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმი დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მუზეუმის ღვაწლმოსილი თანამშრომელი

**ციცინო ჩხეიძე**

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ნათესავებს.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## ამერიკელი სტუდენტები დარწმუნებულები არიან: ბეთჰოვენი... ძაღლია



საზღვარგარეთ ნასწავლიაო, გენიოსიაო, უგზო-უკვლოდ განათლებულიაო, ესაო, ისაო. აჰა, ესეც თქვენი დასავლური განათლება:

– ამერიკელი სტუდენტების უმეტეს ნაწილს ჰგონია, რომ ბეთჰოვენი უდიდესი კომპოზიტორი კი არა... ძაღლია, – სწორედ ასეთი შედეგები მიიღეს ვისკონსინის შტატის უნივერსიტეტის სოციოლოგებმა ამ ცოტა ხნის წინ ჩატარებული კვლევისას.

თურმე, 1998 წლიდან მოყოლებული, აღნიშნული სასწავლებლის პროფესორი ტომ მაკბრაიტი და მისი კოლეგები ამერიკული უნივერსიტეტების პირველ კურსელთა შორის ატარებენ გამოკითხვას, რათა ახალგაზრდების ინტელექტუალური შესაძლებლობები შესაბამისად შეფასდეს.

კვლევის შედეგებმა მეცნიერები გადარია, შეაშფოთა და მდგომარეობიდან გამოიყვანა, რადგან აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდების უმეტესობას, რომლებმაც სკოლა ახლახან დაამთავრეს და უმაღლესშიც ჩააბარეს, ჰგონია, რომ მიქელანჯელო კომპიუტერული ვირუსია, ბეთჰოვენი – ძაღლი და ასე შემდეგ.

გარდა ამისა, კვლევის შედეგად დადგინდა ისიც, რომ ამერიკელმა ახალგაზრდებმა არ იციან გერმანიის გაყოფის შესახებ და ჰგონიათ, რომ ეს ქვეყანა ყოველთვის ერთიანი იყო.

კვლევის ავტორების განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ წელს ახალგაზრდები ბევრ კითხვაზე სულელურ პასუხებს იძლეოდნენ, ასეთი საშინელი შედეგები მაინც არასოდეს მიუღიათ.

ვითომ, ესეც გლობალური დათბობის ბრალია თუ ხელისუფლებაა დამნაშავე? არც ერთი და არც მეორე! მიზეზები ამერიკელებმა თუნდაც, თავიანთი თანამემამულის, ალენ დალესის დოქტრინაში უნდა ეძებონ...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*jeeves.ru*


**„ალია“ და „ქრონიკა“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე. აუცილებელია დიზაინის, Page Maker-ის, CorelDraw-ის, Photoshop-ის და Adobe Acrobat Professional-ის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა. დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.**

გაზეთი ალია

სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი


## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**12 თებერვალი:** ის ადამიანები შემოიკრიბეთ გარშემო, რომლებიც შეიძლება გამოგადგნენ. გაითვალისწინეთ, ეს დღე ქველმოქმედებისთვის არ გამოდგება.

**კურო 22.04-21.05**
**12 თებერვალი:** დღეს საშიში ადამიანი იქნებით. თქვენი მიზნის განსახორციელებლად არავის დაინდობთ, ვინც გზაზე გადაგეღობებათ. შეეცადეთ, არავინ დააზიანოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**12 თებერვალი:** შეეცადეთ, მოკრძალებული, თავშეკავებული და მშვიდი იყოთ. იმდენად აღგზნებული იქნებით, რომ ეს თვისებები აუცილებლად დაგჭირდებათ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**12 თებერვალი:** თქვენი წარმატება დღეს ბევრად იქნება იმაზე დამოკიდებული, ვინ იქნება თქვენს გვერდით. პარტნიორები საგულდაგულოდ შეარჩიეთ. თუ არ გამოგივათ, მარტოობა სჯობს.

**ლომი 23.07-22.08**
**12 თებერვალი:** დღეს იმის შიში არ გექნებათ, რომ ვიღაც პირობას არ შეასრულებს და რაღაცას გაგიფუჭებთ. შეგიძლიათ, ახლობელ-მეგობრებს უშიშრად მისცეთ დავალებები, აუცილებლად შეასრულებენ.

**ქალწული 23.08-22.09**
**12 თებერვალი:** ყველა მეგობრულად იქნება თქვენ მიმართ განწყობილი იმის მიუხედავად, იცნობდით თუ არა ადრე. არ მოდუნდეთ და ბოლომდე არავის ენდოთ, არავინ იცის, ვის რა უდევს გულში.

**სასწორი 23.09-22.10**
**12 თებერვალი:** შეიძლება ახალი ნაცნობები გაიჩინოთ, რომელთაგანაც, ნაწილი საქმიანი და სასარგებლო იქნება, ნაწილი – მეგობრობაში გადაიზრდება. თავი საუკეთესო მხრიდან წარმოაჩინეთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**12 თებერვალი:** დღეს გარშემომყოფნი უჩვეულოდ დაბნეულები იქნებიან. ამის მიზეზი კი, დიდი ალბათობით, თქვენი განწყობა იქნება.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**12 თებერვალი:** ყოველგვარი ალიანსებისთვის გახსნილი იყავით. ერთობლივი მოქმედებით წარმატების მიღწევა არ გაგიჭირდებათ. თუმცა, პარტნიორს თქვენი ინტერესების დავიწყების საშუალება არ მისცეთ, შეიძლება მხოლოდ საკუთარი გაითვალისწინოს.

**თხის რქა 22.12-19.01**
**12 თებერვალი:** კარგი დღეა ოდესღაც გადადებული საქმეების მოსამთავრებლად. თუ საქმეებით გადაღლილს ვინმესთან სტუმრობა მოგინდებათ, სიამოვნებით გიმასპინძლებენ.

**მერწყული 20.01-18.02**
**12 თებერვალი:** თუ დღეს ვინმე მორალის კითხვას დაგიწყებთ თქვენს ჩაცმულობასთან დაკავშირებით, არ მოუსმინოთ და მით უმეტეს, საწყენად არ მიიღოთ.

**თევზები 19.02-20.03**
**12 თებერვალი:** დიდი ხნის დაგროვებული საქმეები მოსვენებას დაგიკარგავთ. თუ დღეს მათ მოგვარებას ვერ ასწრებთ, რიგითობა მაინც შეიმუშავეთ და ახლო მომავალში მიხედეთ.

## როგორია იგი — მსოფლიოში ყველაზე ცუდი უფროსი?



არავისთვისაა საიდუმლო, რომ თითქმის ყველა ხელქვეითი თავის უფროსზე ჩივის, – „ოჰ, ეგ ასეთი და ისეთიო“...

მაინც, როგორია ის – მსოფლიოში ყველაზე ცუდი ხელმძღვანელი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ამერიკელმა მეცნიერებმა სცადეს და უარყოფითი თვისებების ერთგვარი რეიტინგიც შეადგინეს.

სიაში პირველი ადგილი ხელქვეითებთან ურთიერთობის არცოდნამ და სურვილის არქონამ დაიკავა.

ასეთმა უფროსებმა, ხშირად, არც კი იციან, რა ხდება ოფისში, რა უჭირთ ან ულხინთ რიგით თანამშრომლებს და არასოდეს იწუხებენ თავს, მაგალითად, პანაშვიდზე წასვლით.

მეორე ადგილზეა ისეთი უფროსი, რომელსაც ხელქვეითის მოსმენა არ შეუძლია ან უბრალოდ, არ სურს და მორჩა.

რაც შეეხება მესამე პოზიციას, აქ უკვე გადამეტებული თავდაჯერებულობა სახელდება, როცა ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ მართალი მხოლოდ თვითონ არის, სხვა დანარჩენები კი მხოლოდ მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებენ.

საკმაოდ დიდ უკმაყოფილებას იწვევს რიგით თანამშრომლებში უფროსის სპონტანურობა, რასაც ხშირად, თურმე, შრომისუნარიანობის დაქვეითებაც კი მოსდევს ხოლმე.

„კოშმარული ბოსის“ კიდევ ერთ დამახასიათებელ თვისებად თანამშრომლებისთვის მათი პროფესიონალიზმის გამოვლინების შანსის არმიცემაც სახელდება.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ხელქვეითები იმაზეც თანხმდებიან, რომ დაწესებულებაში სიმკაცრე აუცილებლად უნდა იყოს, თუმცა არავითარ შემთხვევაში – დიქტატი!

*factroom.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ფსიქოანალიტიკოსთან მამაკაცი მივიდა. კომფორტულად მოკალათდა სავარძელში და... დუმს. ექიმი მოთმინებით ელის. 1 საათის შემდეგ, მამაკაცი ადგა, ფსიქოანალიტიკოსს 100 ლარი მისცა და წავიდა.

ასე განმეორდა კიდევ 4-5 დღე... ბოლოს ექიმმა ველარ მოითმინა:

– იქნებ მითხრათ, რაშია თქვენი პრობლემა, რა გაღელვებთ?

– რა მაღელვებს და ცოლი! პირს ერთი წამითაც არ აჩუმებს... თქვენთან კი როგორი სიმშვიდეა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია »211359457 ქრონიკა

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი (577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

ტექნიკური რედაქტორი ბადრი ძევანიშვილი

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.20

ISSN 2298-0008

9 772298 000000

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49



სარეკლამო სამსახური ☎ 2-333-170 577-444-442 მიხეილ სახვაძე 21 21 80 ან 233 20 06 (შიდა ნომერი 108) E-mail: reklama@alia.ge

® დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.